ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

უმცირესობების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

უმცირესობების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში

თბილისი, 2018 წ.

წინამდებარე თემატური სამაგიდო კვლევა მოამზადა ორგანიზაციამ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“. კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის – „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში, რომლის პარტნიორები არიან „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ და „ადამიანის უფლებათა ცენტრი“.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.

The publication has been produced by Article 42 of the Constitution within the framework of the EU funded project “Monitoring Government’s Commitments and Promoting Penal Reforms through the Engagement of CSOs” which is implemented by Penal Reform International South Caucasus Regional Office together with its partner organizations – Rehabilitation Initiative of Vulnerable Groups and Human Rights Center.
The contents of this document is the sole responsibility of the Author and can in no circumstances be regarded as reflecting the position of either the donor or Penal Reform International, or its partner organisations.

სარჩევი

შესავალი.....5
პატიმრების მიღება და განთავსება.....6
ჰიგიენა, ტანსაცმელი, კვება.....9
ჯანდაცვა.....12
გარე სამყაროსთან კონტაქტი.....15
რელიგია.....19
უსაფრთხოება 21
დაზიანება/თვითდაზიანება.....25
იზოლაცია.....25
რესოციალიზაცია.....29

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს უცხო ქვეყნის და მოქალაქეობის არმქონე პირების, ასევე უმცირესობის[1] წარმომადგენელი (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) პატიმრების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა პენიტენციურ დაწესებულებაში.

კვლევა ჩატარდა ხსენებული მოწყვლადი ჯგუფების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების, საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის ანალიზის მეთოდით, მათ შორის სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ ექსპერტების მიერ მომზადებულ ანგარიშებზე დაყრდნობით. კვლევის ფარგლებში მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული უფლებრივი მდგომარეობის დასადგენად ყველა დაწესებულებაში გაიგზავნა წერილები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.

პენიტენციური დაწესებულებებიდან მიღებული პასუხებით ირკვევა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში უცხო ქვეყნის მოქალაქე და უმცირესობის (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) წარმომადგენელ პატიმრებთან მიმართებაში არ მუშავდება სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ასახავს მათ მიერ სხვადასხვა უფლებებით სარგებლობის ან/და მათი ყოფითი მდგომარეობის მონაცემებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში ვერ შეფასდა გარე სამყაროსთან კონტაქტის, უსაფრთხოების ღონისძიებების, იზოლაციის, თვითიზოლაციის, დისციპლინური სახდელის დაკისრების და ძალადობის მომეტებული რისკების საკითხები მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებულ პატიმრებთან მიმართებით, ვინაიდან სპეციალური პენიტენციური სამსახურის და პენიტენციური დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ასეთი სტატიკური მონაცემების დამუშავება არ ხდება. უფრო მეტიც, პენიტენციური დაწესებულებებისთვის უცნობია უმცირესობის წარმომადგენელი (ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური) პატიმრების რაოდენობა. შესაბამისად, არათუ მხოლოდ ამ პირების მიმართ განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიებების, არამედ მათი რაოდენობრივი აღრიცხვაც არ ხდება.

არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების სისტემა არ ახდენს უმცირესობის (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) წარმომადგენელ და უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს, რომლებიც შესაძლოა სხვა პატიმრებთან შედარებით არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ. მონიტორინგის სისტემის არარსებობა ნიშნავს, რომ არ ხდება დასახელებული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისათვის არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისად მათ გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებებზე მუშაობა. დამკვიდრებული მიდგომა კი იწვევს უმცირესობის (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) წარმომადგენელ და უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრების მიმართ სხვა პატიმრების მსგავს მოპყრობას, რაც ცალკეულ შემთხვევებში, მათი საჭიროებების და კანონიერი ინტერესების უგულებელყოფას შეიძლება წარმოადგენდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის)[2] ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა უფლებების თავში მოცემული ამოცანები და ღონისძიებები ზოგადი შინაარსისაა და იგი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უშუალოდ უმცირესობის (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) წარმომადგენელ პატიმრებთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს, მათთან მიმართებაში გათვალისწინებულია მათთვის გასაგებ ენაზე უფლებების და მოვალეობების, ციხის რეჟიმის პირობების განმარტების, აგრეთვე იურიდიული კონსულტაციის და დახმარების უფლება.[3] მხოლოდ არსებული ჩანაწერი, რა თქმა უნდა, ვერ პასუხობს იმ საჭიროებებსა და გამოწვევებს, რაც ამ ჯგუფის პატიმრებს აქვთ სასჯელაღსრულების სისტემაში.

საერთაშორისო სტანდარტების[4] თანახმად, მოწყვლადი ჯგუფების დაცვა და მათ მიმართ განსხვავებული მოპყრობა არ არის დისკრიმინაცია, თუ ეს მორგებულია ინდივიდუალური პატიმრების განსაკუთრებულ საჭიროებებზე. სასჯელაღსრულების სისტემა ვალდებულია ამ პირების მიმართ გამოიყენოს პოზიტიური დისკრიმინაციის მექანიზმები - ამ ჯგუფების არათანაბარი მდგომარეობის კომპენსირების მიზნით შეიმუშავოს და დანერგოს სათანადო საკანონმდებლო გარანტიები და კანონის შესაბამისი პრაქტიკა და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მათი კანონით განსაზღვრული უფლებების რეალიზაციას.

---

1 რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობები.
2 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის N182 დადგენილების დანართი N1.
3 იქვე, ამოცანა 4.5.3.
4 ნელსონ მანდელას წესები, წესი 2.

ეთნიკური უმცირესობებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასჯელაღსრულების სისტემაში არსებით პრობლემას ენის ბარიერი წარმოადგენს, რაც შეუძლებელს ხდის პატიმრების ეფექტურ კომუნიკაციას როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ისე სხვა პატიმრებთან, რაც თავის მხრივ, მათ მიმართ განსხვავებულ მოპყრობას იწვევს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დასაშვებად იქნა ცნობილი და ამჟამად განიხილება საქმე, სადაც დავის საგანს წარმოადგენს უცხოელი პატიმრის მიმართ მისთვის გასაგებ ენაზე არაეფექტური კომუნიკაციისა და მოპყრობის საკითხი, რომელიც უტოლდება დამამცირებელ მოპყრობას და ექცევა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ სფეროში.[5]

პატიმრების მიღება და განთავსება

პატიმრების მიღების ეტაპზე პრინციპულად მნიშვნელოვანია პატიმრის სრულფასოვანი ინფორმირება უფლება-მოვალეობების და ციხის შინაგანაწესის შესახებ. შესახლებისას და შემდგომ საჭიროებიდან გამომდინარე, პატიმრებს წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე, ხშირად უნდა ეცნობოთ თავიანთი უფლება-მოვალეობების და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ.[6] ამასთან, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთ საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია.[7]დასახელებული მონაცემების გარდა, უცხოელ პატიმრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია საკონსულო წარმომადგენლებთან დაკავშირების თაობაზე.[8]

პატიმრობის კოდექსის მიხედვით, მსჯავრდებული დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა იყოს ინფორმირებული მის მიმართ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მოპყრობის, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესების, აგრეთვე დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნების შესახებ.[9] პენიტენციური დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების[10] შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ დაწესებულებაში მიღებისთანავე უცხოელ პატიმარს მისთვის გასაგებ ენაზე სოციალური მუშაკის ან თარჯიმნის საშუალებით განემარტება უფლება-მოვალეობების შესახებ და გადაეცემა შესაბამის ენაზე (თარგმნილია: ინგლისურ, რუსულ, თურქულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე) შედგენილი დოკუმენტის ასლი. თუმცა დაწესებულების დებულება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე და პატიმრებისთვის მისი სარგებლობაში გადაცემა არ ხდება. ამდენად, დასახელებულ საკითხზე დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მნიშვნელოვანია დაწესებულების დებულებები ითარგმნოს რამდენიმე ენაზე და პატიმრებს გადაეცეს ისინი მუდმივ სარგებლობაში.

პატიმრის დაწესებულებაში მიყვანისას დაწესებულების ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის მეუღლეს, პარტნიორს, ან თუ პატიმარი დაუოჯახებელია - მის უახლოეს ნათესავს ან პატიმრის მიერ დასახელებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარმა თვითონ მოითხოვა შეუტყობინებლობა.[11] დასახელებული სტანდარტი იდენტურია უცხოელ პატიმრებთან მიმართებაშიც,[12] თუმცა პატიმრის განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებელ ზემოთხსენებულ პირთა წრეს ემატება შესაბამისი ქვეყნის საკონსულო დაწესებულება.[13] საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავების ან დაპატიმრების შესახებ კომპეტენტურმა უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ შესაბამის საკონსულო დაწესებულებას, თუკი პირმა ეს მოითხოვა.[14]

ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობის აღსრულების ადგილზე მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს და

5 Rooman v. Belgium No. 18052/1, judgment of 18/07/2017 (under examination).
6 ციხის ევროპული წესები, 30.1-ე წესი.
7 იქვე, 30.2-ე წესი.
8 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია უცხოელი პატიმრების შესახებ, პუნქტი 15.1 „ა“.
9 49-ე მუხლის, მე-2 პუნქტი.
10 N15 დაწესებულების 13.09.2018 წლის N61800840200.
11 ციხის ევროპული წესები, 24.9-ე წესი.
12 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია უცხოელი პატიმრების შესახებ, პუნქტი 15.2.
13 იქვე, 25.2 პუნქტი.
14 „საკონსულო ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციის 36-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

ახლო ნათესავს, აგრეთვე მისი თხოვნის შემთხვევაში სხვა პირს ან ადვოკატს.[15] ამრიგად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელ პირებთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს საკონსულოს ინფორმირების ვალდებულებას, გარდა ამისა, კანონის ჩანაწერიდან გამომდინარე, ახლო ნათესავის ინფორმირება ხორციელდება ავტომატურად, პატიმრისგან თანხმობის მიღების გარეშე და აღნიშნული ვრცელდება მხოლოდ ადვოკატზე და სხვა პირზე, რომელსაც განსაზღვრავს პატიმარი. სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემებით დგინდება, რომ უცხოელი პატიმრის დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ინფორმაცია ავტომატურად და დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამისი ქვეყნის საკონსულო დაწესებულებას.[16] აღნიშნული ინფორმაცია, ასევე ავტომატურად მიეწოდება პატიმრის ოჯახს.[17] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში პატიმრის მიღების შესახებ ინფორმაციის მიმღებ პირთა წრეს დაემატოს საკონსულო დაწესებულება, რათა აღნიშნული საკითხი არ იყოს მინდობილი პრაქტიკით რეგულირებაზე. აქვე, პრინციპულად მნიშვნელოვანია დასახელებული ინფორმაციის საკონსულო ან/და ოჯახის წევრებისთვის მიწოდების შესახებ მიღებულ იქნას პატიმრის თანხმობა.

პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას უნდა აღირიცხოს ზუსტი ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს მის იდენტობას.[18] აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელ პატიმარს განთავსდეს იმ სქესის წარმომადგენელ პირთა საკანში, რომელსაც იგი მიაკუთვნებს თავს. იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და დაწესებულებაში განსახლებას მივყავართ შედეგებამდე, როდესაც შეიძლება უგულებელყოფილ და შელახულ იქნას უმცირესობის წარმომადგენელ პირთა უფლებები. აღნიშნული მიდგომა ასევე წარმოშობს საფრთხეებს, განსაკუთრებით კი სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების შემთხვევაში, რომ ისინი დაექვემდებარონ ფიზიკურ ძალადობას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ან გაუპატიურებას/ღირსების შემლახავ, არაადამიანურ მოპყრობას ან წამებას.

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმეების წარმოების წესს არეგულირებს მინისტრის ბრძანება.[19] კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დამტკიცებულ სააღრიცხვო ბარათში ფიქსირდება მოქალაქეობისა და ეროვნების შესახებ ინფორმაცია, რაც შეეხება რელიგიური და სექსუალური კუთვნილების შესახებ მონაცემებს, ისინი არ აღირიცხება.[20] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პატიმრები პენიტენციურ დაწესებულებაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის მქონე ჯგუფს განეკუთვნებიან და მათი იდენტიფიცირების პროცედურის არარსებობა ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ. დამატებით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი სასჯელაღსრულების სპეციალურ დაწესებულებას ანიჭებს ზემოთ დასახელებული ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პირის სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება.[21] ამავე კანონის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.[22]

ამრიგად, ეროვნული კანონმდებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებას ანიჭებს უფლებამოსილებას პატიმრის ინტერესებიდან გამომდინარე დამუშავდეს სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული მონაცემები. ამასთანავე, საერთაშორისო სტანდარტები მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ სახის მონაცემების დამუშავებას, ვინაიდან მისი იდენტიფიცირება არსებითად განსაზღვრავს პატიმრის მიმართ საფრთხეების პრევენციას და მისი უსაფრთხოების დაცვას. წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით მნიშვნელოვანი იქნება შემუშავდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რის შედეგადაც კვალიფიციურად მოხდება სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პირის იდენტიფიცირება და სასჯელის მოხდის პერიოდში მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ზომების მიღება.

---

15 პატიმრობის კოდექსის 34-ე მუხლი.

16 11.09.2018 წლის N91800834075; 06.09.2018 წლის N11800820018; 07.09.2018 წლის #61800821751; 07.09.2018 წლის N21800823935; 13.09.2018 წლის N61800840200 და 12.09.2018 წლის N41800839895 წერილები.

17 იქვე.

18 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 7„ა“ წესი.

19 35-ე მუხლის პირველი პუნქტი.

20 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2.

21 პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

22 იქვე, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

პატიმრების საკანში შესახლებამდე, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ.[23] საყურადღებოა, რომ ასეთ შესაძლებლობას საერთოდ არ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. თუმცა ასეთი ღონისძიებები აუცილებლობას წარმოადგენს ტრანსგენდერი პატიმრის მიღებისას, რათა მათ მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა თუ რომელი სქესის წარმომადგენელ პატიმრებთან მოთავსება არის მათთვის მიზანშეწონილი.

ღამის განმავლობაში ინდივიდუალური საკნის გამოყოფა პრიორიტეტულია ლგბტ პირებისთვის, ვინაიდან ეს ჯგუფი არის მეტად დაუცველი და არსებობს მაღალი რისკი, რომ სხვა პატიმრები ბოროტად ისარგებლებენ და იძალადებენ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. გენდერული ძალადობა არღვევს სიცოცხლის უფლებას, პირად უსაფრთხოებას და გადაადგილების თავისუფლებას.[24]

ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, დასაშვებია ხელისუფლების ჩართვა, რათა სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის, უმცირესობების ან ეროვნების პატიმრებისთვის მოეწყოს ცალკე საცხოვრებელი, თუმცა აღნიშნული ღონისძიების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს უსაფრთხოების დაცვა ან პრევენცია ციხეში ძალადობის თავიდან აცილების მიზნით. ასეთი განცალკევება არ უნდა იყოს რუტინული, საჭიროა მისი გადასინჯვის მექანიზმი, რათა პერიოდულად განიხილებოდეს საკითხი და არ დაზიანდეს რომელიმე კონკრეტული ჯგუფი (მაგალითად, კონკრეტული ჯგუფისთვის გამოიყოს უარესი საცხოვრებელი). მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში არ მოხდეს უმცირესობათა სტიგმატიზაცია. ყოველი მოწყვლადი ჯგუფი აქტიურად უნდა იღებდეს მონაწილეობას „ციხის ყოველდღიურ ცხოვრებაში“ და ჩართული იყოს რეინტეგრაციის პროგრამებში.

დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრები განთავსდნენ მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუმცა სამწუხაროა, რომ აღნიშნული სტანდარტის პრაქტიკაში რეალიზაცია ხშირად უგულებელყოფილია. მათ შორის, საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენს უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა განთავსება ქვეყნის შესაბამის საზღვართან ახლოს მდებარე ციხეებში. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს წარმატებული პრაქტიკის მაგალითს, ვინაიდან იგი უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებთან მიმართებაში პასუხობს პატიმრის ოჯახთან ახლოს განთავსების საერთაშორისო სტანდარტს.[25] დასახელებული პრაქტიკა მოქმედებს პოლონეთის რესპუბლიკაში, სადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქე პატიმრები განთავსებულნი არიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რომლებიც მდებარეობს ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვართან.[26]

რეკომენდაციები:

- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პირების მიღებისას, მათი უსაფრთხოების დაცვისა და უფლებების დარღვევის პრევენციისთვის, უზრუნველყოს მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ მონაცემების იდენტიფიცირება და აღრიცხვა ისე, რომ არ მოხდეს ამ პირთა სტიგმატიზება და უფლებების შელახვა;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისათვის პატიმრის განთავსების ადგილის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ პატიმრის ნების გათვალისწინებით;
- შევიდეს ცვლილება კანონში და უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრის განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებელ პირთა წრეს დაემატოს შესაბამისი საკონსულო დაწესებულება, რომელსაც ინფორმაცია პატიმრის განთავსების ადგილის შესახებ მიეწოდება მხოლოდ პატიმრის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში;
- რამდენიმე ენაზე ითარგმნოს და პატიმრებს, მოთხოვნის შემთხვევაში, მუდმივ სარგებლობაში გადაეცეს დაწესებულების დებულება და მიღებისას უფლება-მოვალეობის გაცნობის დოკუმენტი;
- უცხო ქვეყნის და მოქალაქეობის არმქონე პირები, მათი სურვილის გათვალისწინებით და ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, განთავსდნენ საზღვართან ახლოს მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

---

23 ციხის ევროპული წესები, 17.3-ე წესი.

24 2016 წლის 27 ივლისის გაეროს მოხსენება A/HRC/33/49, პარაგრაფი 4 (ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://digitallibrary.un.org/record/756209/files/A_68_264-EN.pdf) ბოლოს ნანახია 01.09.2018.

25 ციხის ევროპული წესები, 17.1 წესი.

26 გაეროს ოფისი ნარკოტიკებთან და დანაშაულთან დაკავშირებით, სახელმძღვანელო პრინციპები განსაკუთრებული რისკის პატიმრების მენეჯმენტი, გვ. 119-120, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf (ბოლოს ნანახია 12.10.2018 წელს).

ჰიგიენა, ტანსაცმელი, კვება

მონაცემების შესწავლისა და დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა, რომ პენიტენციურ სისტემაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მოთხოვნისას მნიშვნელოვანი პრობლემაა ენის ბარიერი; ასევე, გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით ხდება პატიმრებისათვის ტანისამოსის გადაცემა. პენიტენციურ დაწესებულებებში პრობლემას წარმოადგენს კვების საკითხი ეთნიკური, რასობრივი და განსაკუთრებით რელიგიური უმცირესობებისთვის, რადგან რაციონში არ არის გათვალისწინებული მათთვის სპეციფიური საჭიროებები; ხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად კი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დამუშავებული არ არის.

საკნებში გატარებული საათების რაოდენობა და გარემო პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავისუფლებააღკვეთილ პირებზე. ნიშანდობლივია, რომ საკანში არსებული მინიმალური სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსებას და არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად,[27] შეფასების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ფართობი და ფიზიკური გარემო, არამედ საკნის არქიტექტურა და დიზაინი, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს პატიმრების უსაფრთხოების გარანტიას და უზრუნველყოს, რომ თითოეულ ინდივიდს ჰქონდეს გარკვეული პირადი და კონფიდენციალური სივრცე.[28] ასეთი პრაქტიკა თავდაპირველად ავსტრალიის მთავრობამ დანერგა, ხოლო დაკვირვებისა და კვლევების შედეგად, იკვეთება, რომ ადაპტირებული გარემო პირობები პატიმრებს ეხმარება სტრესისა და უარყოფითი გავლენის დაძლევაში, რის საფუძველზეც შემცირდა აგრესიისა და თვითდაზიანების რიცხვი. საკნები უნდა იყოს აღჭურვილი სველი წერტილებით და საპირფარეშოებით, სადაც მიზანშეწონილია იყოს ავეჯი კარგ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებისთვის.

პენიტენციურ სისტემას გააჩნია გარკვეული პოზიტიური ვალდებულება პატიმართა განთავსების ადგილას არსებული მატერიალური პირობების შექმნის თვალსაზრისით, რათა შემსუბუქდეს თავისუფლების აღკვეთის მავნე ზემოქმედება. კერძოდ, საცხოვრებელი პირობები და საკნის აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს გარე სამყაროში არსებულ თანამდროვე ინვენტარს. ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოთ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის ვალდებულება, თუმცა აუცილებელია, რომ დაწესებულების პერსონალმა აღნიშნული პროცესი განახორციელოს კულტურული და რელიგიური უპირატესობების პატივისცემით და დაცვით.[29]

პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების თანახმად, პატიმრებს დაწესებულებაში შესახლებისას (ერთჯერადად) გადაეცემათ მცირეოდენი ჰიგიენური საშუალებები (კბილის პასტა, ჯაგრისი, საპონი, სარეცხი ფხვნილი და ტუალეტის ქაღალდი), ხოლო ყოველთვიურად მიეწოდებათ საპონი, სარეცხი ფხვნილი და ტუალეტის ქაღალდი. თუმცა ნებისმიერი სხვა საჭიროებისთვის აუცილებელი ჰიგიენური ნივთების შეძენა შესაძლებელია დაწესებულებების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. ერთის მხრივ, კარგია მსგავსი ალტერნატიული საშუალება, თუმცა იგი არ ესადაგება უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, ვინაიდან, მათ არ აქვთ სპეციალურ ბარათზე (რომლის საშუალებითაც მაღაზიაში შეიძლება პროდუქციის შეძენა) თანხის დამოუკიდებლად ჩარიცხვის უფლება, ხოლო, დაწესებულებაში მოთავსებისას, სახსრების უქონლობის გამო, მათ შესაძლოა არ ჰქონდეთ ბარათის რეკვიზიტების ახლო ნათესავებისათვის მიწოდების შესაძლებლობა. ასევე, აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს უმცირესობის სხვა ჯგუფების საჭიროებებს, ვინაიდან მწირია დაწესებულებაში გასაყიდი პროდუქციის ჩამონათვალი და მიზანშეწონილია პირველადი ჰიგიენური ნივთების ჩამონათვალის გაზრდა. (მაგ. ტოლჩა, თასი, ჰიგიენური ზეთი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთათვის და სხვა).

ეროვნულ კანონმდებლობაში[30] არსებული დათქმა უზრუნველყოფს იმ პატიმრების მომარაგებას, რომელთაც არ აქვთ სეზონის შესაფერისი ტანისამოსი და სასჯელაღსრულების სისტემას ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის თანახმადაც, პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია[31] პატიმარს მისცეს სპეციალური ტანსაცმელი. ამასთანავე, პენიტენციური

27 ნელსონ მადელას წესები, წესი 42.

28 McArthur, M., Camilleri, P. and Webb, H., “Strategies for Managing Suicide and Self Harm in Prisons”, Australian Institute of Criminology, Trends and Issues in Crime and Criminal Justice, August 1999, p. 3. (ხელმისაწვდომია : www.aic.gov.au).

29 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)12, წესი N18.2.

30 პატიმრობის კოდექსის 22 -ე მუხლის პირველი პუნქტი.

31 იქვე, მე-4 პუნქტი.

დაწესებულებიდან მიღებული პასუხების თანახმად,[32] დაწესებულება უზრუნველყოფს ასეთ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მომარაგებას, თუმცა ამ უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე არ არის დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე ჰიგიენური, სანიტარული საჭიროებების და ინტენსივობის შესახებ მონაცემები დაწესებულებას არ გააჩნია და წინასწარ განსაზღვრული მიდგომა და სტრატეგია არ არსებობს.

უცხო ქვეყნისა და მოქალაქეობის არმქონე პირებში გაცილებით მაღალია ფინანსური სიდუხჭირის რისკი, რის გამოც ისინი ტანსაცმლის მიღების ალტერნატიულ საშუალებას პოტენციურად მოკლებულები არიან. შესაბამისად, მნიშნელოვანია პატიმრებს ჰქონდეთ ერთგვარი საკანონმდებლო გარანტია, რასაც ადმინისტრაციისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება ვერ უზრუნველყოფს. საერთაშორისო სტანდარტი[33] იმპერატიულად ადგენს, რომ უცხოელი პატიმრებისთვის უზრუნველყოფილი ტანსაცმელი არ უნდა ლახავდეს მათ კულტურულ და რელიგიურ გრძნობებს. საერთაშორისო სტანდარტების[34] თანახმად, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შეიმოსონ კულტურული და რელიგიური ტრადიციების შესაბამისი ტანისამოსით, რასაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეროვნულ კანონმდებლობაშიც[35] არის განსაზღვრული პატიმრების სუფთა, სეზონის შესაბამისი, არა ღირსების შემლახავი ტანისამოსით მომარაგება, თუმცა ჩანაწერი არ ითვალისწინებს კულტურული და რელიგიური[36] საჭიროებების შემთხვევაში გამონაკლისს.

პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პატიმრებისათვის ადმინისტრაციის მიერ განკუთვნილი ტანისამოსის სახეობა. პენიტენციური დაწესებულება პატიმრებს მხოლოდ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრებისთვის გადასაცემი სამუშაო ტანსაცმელით უზრუნველყოფს, მაშინ როცა პენიტენციურ სისტემაში არსებული სუბკულტურის გათვალისწინებით ამ ტანისამოსის ტარება არაპრესტიჟულია. დასახელებული მიზეზით პატიმრებისთვის მიუღებელია ამ ტანისამოსის ჩაცმა, რის გამოც მსგავსი საჭიროების მქონე პატიმრები არ თანხმდებიან პენიტენციური დაწესებულების მიერ შეთავაზებულ, არა სეზონურ, არამედ სამუშაო ტანსაცმელს, რითიც მარაგდებიან სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირები.

შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულება სამუშაო ტანსაცმლით უზრუნველყოფს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პირებს, ხოლო, საჭიროების მქონე სხვა პატიმრები ამ ტანსაცმლით არ სარგებლობენ. ამგვარად, სეზონის შესაბამისი ტანისამოსით უზრუნველყოფის კანონისმიერი ვალდებულება სასჯელაღსრულების სისტემის მიერ არ ხორციელდება, ვინაიდან სამუშაო ტანისამოსის გარდა სხვა ტანსაცმლით სასჯელაღსრულების სისტემა მომარაგებული არ არის. ასეთი პრაქტიკა, ერთის მხრივ, ეწინააღმდეგება ნორმის შინაარსს, ხოლო, მეორე მხრივ, უგულებელყოფს პატიმრის უფლებას საჭიროების შემთხვევაში მიიღოს სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი.

საკვების რაოდენობა, ხარისხი, მიწოდების გრაფიკი, ტემპერატურა და სხვადასხვა საკითხები შესაძლოა გახდეს პოლარიზების ფაქტორი. აუცილებელია პატიმრებს მიეწოდებოდეთ კარგი ხარისხის საკვები და წყალი მათი ჯანმრთელობის და სიმტკიცის შენარჩუნების მიზნით.[37] საერთაშორისო სტანდარტების[38] თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მათ კულტურულ და რელიგიურ საჭიროებებზე მორგებული საკვების მიწოდება (სპეციალური დიეტა, მარხვა). ამასთანავე, მნიშვნელოვანია, პატიმრებს მიეცეთ საშუალება მიიღონ საკვები ისეთი ალტერნატიული საშუალებებით, როგორიცაა მაღაზია და ამანათი. საერთაშორისო სტანდარტი ამ საკითხთან დაკავშირებით ადგენს სასჯელაღსრულების სისტემის პოზიტიურ ვალდებულებას, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ, ვინაიდან გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე რისკი მაღალია, რომ ისინი მოკლებული იყვნენ ამანათის მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის მიწოდება გარე სამყაროდან, ასევე მისცეს

32 12.09.2018 წლის N51800839878; 14.09.2018 წლის N81800847304; 13.09.2018 წლის N31800840199; 13.09.2018 წლის N9180084465; 10.09.2018 წლის N61800830904; 10.09.2018 წლის N11800830639; 07.09.2018 წლის N01800823438; 03.09.2018 წლის N01800802747; 06.09.2018 წლის N01800829603 წერილი; 05.09.2018 წლის N91800814996 და 11.09.2018 წლის N91800834039 წერილები.

33 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12, წესი 19.1.

34 იქვე, წესი 19.2.

35 პატიმრობის კოდექსის მუხლი 14 და 22.

36 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2012)12, წესი N19.1 და N19.2.

37 ნელსონ მანდელას წესები, წესი 22.

38 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12 წესი 20.

საკვების საკანში მომზადების უფლება.[39]

ეროვნულ კანონმდებლობაში პატიმართა კვების რაციონის სპეციფიურ საჭიროებებზე მითითება გვხვდება მხოლოდ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში,[40] რომლის თანახმადაც სამედიცინო, რელიგიური ან სხვა ნიშნით განსაზღვრული საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ გაითვალისწინოს მსჯავრდებულთა სურვილები. პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის შედეგად პატიმარს ენიშნება დიეტური მაგიდა. აღნიშნული რაციონი კი საკმაოდ მაღალი გარანტიით არის დაცული და განსაზღვრულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.[41] თუმცა ასეთივე სტანდარტი ან სახელმძღვანელო პრინციპი არ არსებობს რელიგიური საჭიროებების მიხედვით. მეტიც, პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების თანახმად, დახურულ და მაღალი რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს ეკრძალებათ საკანში საკვების მომზადება, ვინაიდან სხვაგვარი დათქმა ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს.

პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების[42] მიხედვით, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში გასაყიდი პროდუქციის ნუსხა ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულების სისტემამ დიეტური რაციონის მსგავსად შეიმუშავოს დოკუმენტი, რომელშიც აისახება პროდუქციის ჩამონათვალი რელიგიური ან/და კულტურული საჭიროებების გათვალისწინებით. მსგავსი დოკუმენტის შემუშავება მიზანშეწონილია წარიმართოს რელიგიური კონფესიების წარმომადგენლების ჩართულობით. სასურველია, განსხვავებული რელიგიური თუ კულტურული ჯგუფების კვების რაციონისათვის საჭირო პროდუქტები დაფიქსირდეს წლიურ სატენდერო მოთხოვნებში, როგორც სამზარეულოს მომარაგების, ისე პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში დაშვებული პროდუქციის ნუსხაში, რათა პროდუქტები იყოს ხელმისაწვდომი ყველა მოწყვლადი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით.

უცხო ქვეყნის მოქალქე და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიაში პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. პროდუქციის შესყიდვა კი ხორციელდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრის მეშვეობით, რომელიც ვალდებულია უცხოელ პატიმარს გამოართვას შერჩეული პროდუქციის სია და პლასტიკური ბარათი, შემდეგ პროდუქცია შეიძინოს მაღაზიაში და მიუტანოს საკანში. ეს პრაქტიკა არ ითვალისწინებს ენის ბარიერის და სპეციალური საჭიროებების მოგვარების სტრატეგიას, რის გამოც მოწყვლადი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება არ ხდება.

რელიგიური საჭიროებებიდან გამომდინარე, როდესაც მსჯავრდებულმა მოითხოვა სპეციფიური საკვების მიწოდება, ხოლო დაწესებულებამ უზრუნველყო მისი მიწოდება სამედიცინო საჭიროებებით განსაზღვრული დიეტური საკვები პროდუქტების ნუსხით გათვალისწინებული ჩამონათვალიდან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ[43] დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა და მიიჩნია, რომ რელიგიური საჭიროებებიდან გამომდინარე მსჯავრდებულს ჰქონდა საკვებზე წვდომის შეზღუდული შესაძლებლობა.

რეკომენდაციები:

- პენიტენციურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის სპეციფიური ჰიგიენური საშუალებების საჭიროებების გამოკვლევა და მიწოდება;
- რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს მათთვის მისაღები საკვები რაციონით უზრუნველყოფის საკითხი და ამ მიზნით დამტკიცდეს საკვები პროდუქტების ჩამონათვალი;

39 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2012)12, წესი 20.
აქვე, ნელსონ მანდელას წესები, წესი 114.
40 2015 წლის 13 აგვისტოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №88-№01-34/ნ ბრძანება; მუხლი 8; ქვეპუნქტი „ზ“.
41 2002 წლის 17 სექტემბრის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №258/ნ ბრძანება.
42 იხ. სქოლიო N16.
43 CASE OF VARTIC v. ROMANIA (no. 2) § 47-50.

- საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდეს იმგვარად, რომ სეზონის შესაბამისი ტანისამოსით უზრუნველყოფა მოხდეს ამგვარი საჭიროები მქონე ყველა პატიმრის და აღნიშნული აღარ წარმოადგენდეს ადმინისტრაციის დისკრეციას;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის ორგანიზებით დაფუძნდეს ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი პატიმრების სეზონის შესაბამისი ტანისამოსით უზრუნველყოფას, რომელიც განსხვავებული იქნება სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრების ტანისამოსისაგან.

ჯანდაცვა

მონაცემების შესწავლისა და დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში არ არის საკმარისი რაოდენობის სამედიცინო პერსონალი. პრობლემას წარმოადგენს უცხო ქვეყნისა ან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ენის ბარიერიდან გამომდინარე სამედიცინო პერსონალთან ურთიერთობა, ხოლო უმცირესობის სხვა ჯგუფებისთვის არ არის შემუშავებული მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების სტრატეგია, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი წარმოადგენს არა ერთეულად სასჯელაღსრულების სისტემის პრობლემას, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის საკითხს, რომელიც პრაქტიკულად უგულებელყოფს გენდერულ ნიშანს.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად,[44] პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებისთვის შეუფერხებლად უნდა იყოს მიწოდებული ჯანმრთელობის დაცვის აუცილებელი სერვისები, კვალიფიკაციური სამედიცინო მუშაკების მომსახურება, დროული დიაგნოსტირების, ადგილობრივი და სტაციონარული მკურნალობის ჩატარება. წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის ჯანმრთელობის დაცვის სამსახური წარმოადგენს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის უშუალო კომპეტენციის საგანს, რადგან სამედიცინო მომსახურების არასათანადო დონემ შეიძლება მიგვიყვანოს ვითარებამდე, რომელიც ექცევა არაადამიანურ და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფარგლებში.[45]

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ზოგიერთ პირთა ჯგუფს ან ინდივიდს შესაძლოა ესაჭიროებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სპეციფიური საჭიროებები და აღნიშნული მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საზოგადოებაში არსებული ნორმების ექვივალენტურად. მოთხოვნის მიხედვით შესაძლოა საჭირო გახდეს პენიტენციური დაწესებულების დამატებითი სამედიცინო რესურსებით აღჭურვა.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თარჯიმნის მომსახურება,[46] რათა მათთვის გასაგებ ენაზე, სრულფასოვნად[47] მიეწოდოს ინფორმაცია ჩივილების, დიაგნოზისა და მკურნალობის საშუალებების შესახებ. მიზანშეწონილია თარჯიმანი არ იყოს დაწესებულების უსაფრთხოების ან რეჟიმის თანამშრომელი, რათა დაცულ იქნას, ერთის მხრივ, ნდობის ფაქტორი, ხოლო, მეორე მხრივ, სამედიცინო კონფიდენციალურობა.

ეროვნული კანონმდებლობის შეფასებით იკვეთება, რომ სასჯელაღსრულების სისტემას მოცემულ საკითხზე საკანონმდებლო გარანტია არ აქვს, პატიმარი კი თარჯიმნის მოთხოვნის შესაძლებლობას მოკლებულია. შესაბამისად, ენის ბარიერის გადალახვა შეგვიძლია მივიჩნიოთ პენიტენციური დაწესებულების პრაქტიკულ ნაწილში არსებულ გამოწვევად, რაზეც გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად[48] გვეცნობა, რომ სამედიცინო საჭიროებებიდან გამომდინარე, დაწესებულებას თარჯიმნის მომსახურება არ დასჭირვებია, გარდა N2 და N3 დაწესებულებისა.[49] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მომსახურების რისკების, შესრულების და მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების შესახებ

44 ციხის ევროპული წესები, 40.1 – 48.2 წესი.
45 https://rm.coe.int/16806ce931.
46 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)12, წესი 31.4.
47 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(98) 71, პარა. 60.
48 12.09.2018 წლის N51800839878; 14.09.2018 წლის N81800847304; 13.09.2018 წლის N31800840199; 13.09.2018 წლის N9180084465; 10.09.2018 წლის N61800830904; 10.09.2018 წლის N11800830639; 07.09.2018 წლის N01800823438; 03.09.2018 წლის N01800802747; 06.09.2018 წლის N01800829603 წერილი; 05.09.2018 წლის N91800814996 და 11.09.2018 წლის N91800834039 წერილები.
49 პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულებამ თარჯიმნის მომსახურებით ისარგებლა ორჯერ, ხოლო N2 დაწესებულებამ სამჯერ.

სავალდებულო სამედიცინო წერილობითი ინფორმირებული თანხმობა[50] ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

მოშიმშილე პატიმრებთან დაკავშირებით მოქმედებს ანალოგიური სტანდარტი. მათ სრულფასოვნად უნდა განემარტოთ შიმშილობის შედეგად მოსალოდნელი მავნე ზემოქმედებისა და ჯანმრთელობის შესაძლო დაზიანების შესახებ ინფორმაცია.[51] შესაბამისად, მათთვის მნიშვნელოვანია, როგორც სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა, ისე ექიმისა და კვალიფიციური ექთნის რეგულარული კონსულტაცია. ასევე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს აღნიშნულ ჯგუფებში არსებული თვითდაზიანებისა და სუიციდის პროგრამაში ჩართულობის საკითხი.[52]

პენიტენციურმა დაწესებულებამ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს პატიმრისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, რა დროსაც მნიშვნელოვანია ფრთხილად და გულდასმით შეირჩეს სპეციალისტი, რომელსაც აქვს განსხვავებული რელიგიური, კულტურული და ლინგვისტური წარმომავლობის მქონე პირებთან ურთიერთობის გამოცდილება.[53] ფსიქიკური პრობლემების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მაქსიმალურად განახორციელოს გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების რეალიზაცია.[54] ასეთ დროს შესაძლებელია უსაფრთხოების სამსახურმა ექიმის რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიმუშავოს სპეციალური (ინდივიდზე დაშვებული და დამუშავებული) მიდგომები. ამ თვალსაზრისით საკმაოდ ფაქიზი კატეგორიაა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პირები, და მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის და ფსიქიატრის კვალიფიკაცია და გამოცდილება მათთან მუშაობის დროს, რამეთუ სამედიცინო პერსონალი სავალდებულოა ჩაერთოს, როგორც პატიმრის საზოგადოებაში რეინტეგრაციის, ასევე გენდერული იდენტობის რეაბილიტაციის პროცესში.

ზემოთხსენებული საკითხების პრაქტიკაში არსებული შესაძლო ხარვეზებისა და გამოწვევის იდენტიფიცირების მიზნით სასჯელაღსრულების სისტემიდან გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური მონაცემები კვლევის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა დაზიანებების, თვითდაზიანების და სუიციდის ფაქტების შესახებ. სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან მიღებული კორესპონდენციებით ირკვევა, რომ ცალკეულად უმცირესობის წარმომადგენელ (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) და უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებთან მიმართებაში ასეთი მონაცემების აღრიცხვა არ ხდება.

ლგბტ პირები წარმოადგენენ განსაკუთრებულ მოწყვლად ჯგუფს მათ მიმართ არსებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის რისკის, მათ შორის ჩაგვრისა და დაშინების გამო. აქედან გამომდინარე, საჭიროა სამედიცინო პერსონალმა ყურადღება მიაქციოს და გულისხმიერად მოეკიდოს აღნიშნული ჯგუფის საჭიროებებს. მიზანშეწონილია ფსიქოლოგის რეგულარული კონსულტაცია, რათა საყოველთაო ნეგატიური გავლენისაგან არ მოხდეს ამ პირთა თვითიზოლაცია ან სენსორული იზოლაცია. დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულების სისტემამ უზრუნველყოს აღნიშნული პირების დაცვა და არ დაუშვას მათი იზოლაცია პენიტენციური სისტემის მოსახლეობისგან.[55]

დაუშვებელია ლგბტ პატიმრების დისკრიმინაცია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრით პენიტენციურ დაწესებულებაში, ისევე როგორც სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. ტრანსგენდერ პირებს შესაძლოა დასჭირდეთ განსხვავებული და სპეციფიური[56] სამედიცინო მომსახურება, რა დროსაც პენიტენციურმა სისტემამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პირებისთვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება. ყოველი პირის მკურნალობა უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო პრინციპებს და უნდა იქნეს გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკა.[57] ამას გარდა, ჩატარებული კვლევების[58] თანახმად, იკვეთება რომ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს მწირი ინფორმაცია აქვთ გენდერული იდენტობისა და სპეციალური საჭიროებების თაობაზე, რაც ნეგატიურად აისახება ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე. უმცირესობის წარმომადგენელი ტრანსგენდერი პირები მნიშვნელოვნად მოკლებულნი არიან სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობას, ვინაიდან ასეთი მომსახურების გაწევისთვის საჭირო სერვისები ან აღიარებული კლინიკური გაიდლაინი და პროტოკოლი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის

50 საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მუხლი 22.
51 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(98) 71, პარა 62.
52 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)12, წესი 31.7.
53 იქვე, 31.6.
54 წამების პრევენციის კომიტეტი [CPT/Inf (2000) 13] პარაგრაფი 32.
55 იაგაკორატას პრინციპები, პრინციპი, 9 ნაწილი H.
56 ჰორმონალური, ენდოკრინოლოგიური და სხვ.
57 Principles and Best Practices of the Protection of Persons Deprived of Liberty in the Americas. PR. 10
58 Survey has shown that the majority of randomly chosen healthcare workers (save one respondent) cannot make difference between sexual orientation and gender identity. Aghdgomelashvili E., Study of the Needs of LGB People in Health Care. In - depth interviews. Technical report. WISG, Tbilisi, 2014.

და სოციალური დაცვის სამინისტროს არ გააჩნია. დამატებით უნდა აღნიშნოს, რომ ზოგიერთ კლინიკას განსაზღვრული აქვს სპეციფიური სამედიცინო სერვისები უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფებისთვის, თუმცა ისინიც კი უარს აცხადებენ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის დაარეგისტრირონ შესაბამისი სტანდარტები[59] სამინისტროს სპეციალურ ბაზაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი არ წარმოადგენს მხოლოდ სასჯელაღსრულების სისტემის პრობლემას, რამეთუ უმცირესობის ჯგუფებისათვის სპეციფიური სამედიცინო სერვისების შეთავაზება პრაქტიკულად შეუძლებელია კერძო კლინიკებთან მოლაპარაკების შედეგადაც კი, ვინაიდან ასეთ მომსახურებას არ იცნობს ეროვნული პოლიტიკა, რაც ერთგვარად წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის პრობლემას.

ეროვნულ კანონმდებლობაში[60] მხოლოდ ზოგადი მითითებაა პატიმრების სამედიცინო საჭიროებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება სწორედ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას ეთმობა, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სამედიცინო ბარათი და პირადი პროფილი არ მოიცავს პირის იდენტიფიცირებისთვის საჭირო საკმარის მონაცემებს, არ ითვალისწინებს პირის გამოკითხვას იდენტობის დადგენის მიზნით, რათა მას მომავალში გაეწიოს სწორედ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურება. ამასთანავე, პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების თანახმად, გარდა სამედიცინო დაწესებულებისა იკვეთება, რომ პატიმრების საერთო რაოდენობასთან მიმართებით ექიმებისა და ექთნების რაოდენობა საგრძნობლად მცირეა, რაც ქმნის დაგვიანებული სამედიცინო მომსახურების მაღალ რისკს.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს სამედიცინო მომსახურების დაბალ სტანდარტსა და ხარისხზე. ამავდროულად, საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიშში[61] აღნიშნავს, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ინფრასტრუქტურის მოწყობის სტანდარტი, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება. ამას გარდა, საუბარია გაჭიანურებულ სამედიცინო მომსახურებაზე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული კანონმდებლობით სამედიცინო პერსონალის ჩართულობა დაწესებულების რეჟიმისა და პატიმრებთან მოპყრობის სტრატეგიის თვალსაზრისით საკმაოდ შეზღუდულია და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის ატარებს. კერძოდ, სამედიცინო პერსონალი უფლებამოსილია მხოლოდ უსაფრთხოების ღონისძიების სახით სპეციალური საშუალებების გამოყენების ან დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მყოფი პირების თაობაზე რეკომენდაციით მიმართოს დაწესებულების დირექტორს. შესაბამისად, სამედიცინო პერსონალი მოკლებულია შესაძლებლობას აწარმოოს და დაამუშაოს ინდივიდზე მორგებული ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური საჭიროებების შემცველი შრომითი/სამკურნალო რეკომენდაციები, რომელიც მოიაზრებს პატიმართა ფიზიკურ აქტივობას, გარე სამყაროსთან კონტაქტს და სხვა. სამედიცინო პერსონალის შეზღუდული უფლებამოსილება კი ზემოხსენებულ საეთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით პროპორციული არ არის.

რეკომენდაციები:

- უცხო ქვეყნის და მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს ინფორმირებული თანხმობის შესახებ დოკუმენტის სხვადასხვა ენაზე თარგმნა;
- პენიტენციურ დაწესებულებებში გაიზარდოს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა (ექიმი, ექთანი, ფსიქოლოგი);
- სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პატიმრებისთვის სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შექმნას მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო სერვისები (მაგ. გენდერული თერაპია);
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე უზრუნველყოს სუიციდის პრევენციის პროგრამის ხელმისაწვდომობა.

59 აღნიშნული სტანდარტი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის დადგენილებით №177 „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ."
ხელმისაწვდომია :https://matsne.gov.ge/ka/document/view/1654534.
60 პატიმრობის კოდექსი, 24-ე მუხლი.
61 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 50.
იქვე. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 175.

გარე სამყაროსთან კონტაქტი

გარე სამყაროსთან კონტაქტი პატიმრის სოციალური რეინტეგრაციის არსებით ელემენტს წარმოადგენს. უცხოელი პატიმრის ოჯახის წევრებისა და ახლობლების სხვა ქვეყანაში ცხოვრების ფაქტი მნიშვნელოვნად ართულებს მათთან შეხვედრებს და მყარი კავშირის შენარჩუნების შესაძლებლობას. გადახდისუუნარო უცხოელი პატიმრებისთვის კიდევ უფრო ხელმიუწვდომელია ამ უფლების რეალიზაცია. სატელეფონო ზარების განხორციელებისა და მიღების, ასევე კომუნიკაციის სხვა ფორმების გამოყენების წესები უნდა იყოს მოქნილი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უცხოელი პატიმრებისთვის, რომლებიც ეკონტაქტებიან პირებს საზღვარგარეთ, ჰქონდეთ სხვა პატიმრების თანაბარი ხელმისაწვდომობა კომუნიკაციის ამგვარ ფორმებზე.[62] კონტაქტების ოპტიმიზაციის მიზნით უცხოელ პატიმრებთან საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების ვიზიტები ორგანიზებული უნდა იყოს მოქნილი ფორმით, რაც შესაძლოა მოიცავდეს მათთვის ნებადართული ვიზიტების გაერთიანების შესაძლებლობას.[63] ამასთან, გადახდისუუნარო უცხოელ პატიმრებს დახმარება უნდა გაეწიოთ გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ხარჯების კუთხით.[64] შეიძლება ითქვას, რომ მინისტრთა კომიტეტი სახელმწიფოებს უცხოელი პატიმრების პოზიტიური დისკრიმინაციისკენ მოუწოდებს, რაც საჭიროა იმ უთანასწორო მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, რასაც ისინი აწყდებიან ოჯახთან მყარი კავშირი შენარჩუნებისას.

ეროვნული კანონმდებლობა გარე სამყაროსთან კონტაქტის არაერთ საშულებას ითვალისწინებს, კერძოდ პაემნები (ხანმოკლე,[65] ხანგრძლივი[66] და ვიდეოპაემანი[67]) წერილები,[68] ტელეფონი,[69] პრესა,[70] ტელე და რადიო მაუწყებლობა.[71] დაწესებულების რეჟიმის მიხედვით განსხვავებულია პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის ინტენსივობა, კერძოდ, რაც უფრო მკაცრია დაწესებულების რეჟიმი, მით უფრო შეზღუდულია უფლებით სარგებლობა.[72] ტელეფონის, წერილების გაგზავნის, ტელევიზორის, რადიო მიმღებითა და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა ხორციელდება პატიმრის ხარჯებით. კანონი ითვალისწინებს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადის დაფინანსების შესაძლებლობას იმ სტუმრებისთვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.[73] ამასთან, საქართველოს სასჯელაღსრულებისა პრობაციის მინისტრს კანონით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხანგრძლივი პაემანით სარგებლობა განახორციელოს საფასურის გადახდის გარეშე.[74] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს გაუქმების შედეგად კანონში შესაბამისი ცვლილებები არ განხორციელებულა და ამჟამად უცნობია, ვის გადაეცა აღნიშნული უფლებამოსილება. პატიმარს უსასყიდლოდ შეუძლია ისარგებლოს ხანმოკლე პაემნისა და ვიდეოპაემნის უფლებით.[75]

მსჯავრდებულის მოთხოვნით შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების, ხანმოკლე პაემნით, ხოლო ამ უკანასკნელის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ, ხანმოკლე გასვლის უფლების სატელეფონო საუბრით შეცვლა.[76] ბრალდებულს შეუძლია მოითხოვოს ხანმოკლე პაემნის სატელეფონო საუბრით შეცვლა.[77] ვიზიტების გაერთიანების შესაძლებლობა გათვალისწინებულია ხანგრძლივ პაემანთან მიმართებაში

62 იქვე, 22.3-ე რეკომენდაცია.
63 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი უცხოელი პატიმრების შესახებ, 2012 წელი, 22.5-ე რეკომენდაცია.
64 იქვე, 22.4-ე რეკომენდაცია.
65 პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლი.
66 იქვე, მე-172 მუხლი და „მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22ივლისის N 132 ბრძანება.
67 იქვე, მე-171 მუხლი და „მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2011 წლის 5 აპრილის N 55 ბრძანება.
68 იქვე, მე-16 მუხლი და 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
69 იქვე, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტი და მე-19 მუხლი.
70 იქვე, მე-20 მუხლი.
71 იქვე.
72 იქვე, მე-602, 62-ე, 65-ე და 663-ე მუხლები.
73 „მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22ივლისის N 132 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.
74 იქვე, პუნქტი მე-8.
75 იქვე, 171 მუხლის მე-4 ნაწილი.
76 იქვე, მე-17 მუხლის მე-12 ნაწილი.
77 იქვე, მე-17 მუხლის მე-11 ნაწილი.

წელიწადში ერთხელ და მისი გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 47 საათამდე.[78] კანონი ასევე ითვალისწინებს წახალისების ფორმით პატიმრისთვის დამატებით სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე, ხანგრძლივი ან ვიდეოპაემნის უფლების მიცემას. გარე სამყაროსთან კონტაქტის ინტენსივობის მსგავსად, დაწესებულების რეჟიმის მიხედვით განსხვავებულია პატიმრის წახალისების რაოდენობა.[79] პატიმრობის კოდექსი სპეციალურად უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ადგენს საკონსულო დაწესებულებებთან და სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებთან შეუზღუდავად შეხვედრის შესაძლებლობას.[80]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოთხოვნიდან გამომდინარე ხანგრძლივი პაემნის დაფინანსების წესი საერთოდ არ ესადაგება გადახდისუუნარო უცხოელ პატიმრებს, რომელთა ოჯახის წევრები საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ამასთან, სასჯელაღსრულების მინისტრის გადაწყვეტილებით, ხანგრძლივი პაემნის საფასურისგან განთავისუფლების შესახებ რეგულაცია ბუნდოვანია, ვინაიდან იგი არ იძლევა პრაქტიკაში ნორმის გამოყენების განჭვრეტის შესაძლებლობას. ამავდროულად, აღნიშნული პატიმრებისთვის არაეფექტური და გამოუსადეგარია გარე სამყაროსთან კონტაქტის სხვადასხვა საშუალების გადაცვლის და ხანგრძლივი პაემნის აკუმულირების საკანონდებლო გარანტიები. კერძოდ, სახსრების უქონლობიდან გამომდინარე, ისინი ვერ ახერხებენ საზღვარგარეთ დარეკვის და ხანმოკლე პაემნის უფლების გამოყენებას, ამიტომ მათი გადაცვლის ან ხანგრძლივი პაემნის აკუმულირების შესახებ მოთხოვნა აზრს კარგავს. აქვე საყურადღებოა, რომ საზღვარგარეთ დარეკვა ან წერილების გაგზავნა გაზრდილი ტარიფებით ხორციელდება, რაც შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს ოჯახთან და ახლობლებთან მყარი კონტაქტის შენარჩუნების თვალსაზრისით.

პენიტენციური დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემებით დგინდება, რომ #2, #6, #12, #15 და #18 დაწესებულებებში უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პატიმრებს არ უსარგებლიათ საზღვარგარეთ პირადი წერილების გაგზავნის უფლებით.[81] მართალია, დასახელებული სტატისტიკა არ იძლევა მოცემულ საკითხზე სრულყოფილ ინფორმაციას, თუმცა ხუთი დაწესებულების მონაცემები ცხადყოფს, რომ საზღვარგარეთ წერილების გაგზავნის უფლებით პატიმრები ვერ სარგებლობენ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში დასახელებულ პრობლემასთან დაკავშირებით, აღნიშნულია რომ უცხოელი პატიმრები საერთაშორისო ზარებისა და წერილების გაგზავნის სიძვირიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ ოჯახის წევრებთან კონტაქტს.[82]

ამრიგად, უცხოელი პატიმრების არახელსაყრელი მდგომარეობის კომპენსირების მიზნით სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები და შექმნას გარანტიები, რის შედეგადაც საზღვარგარეთ სატელეფონო ზარების ან/და წერილების გაგზავნა ხელმისაწვდომი იქნება ხელსაყრელ ფასად. სატელეფონო ზარების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქვეყნებს შორის დროში არსებული განსხვავება. გადახდისუუნარო პატიმრებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია მიღებულ იქნეს ზომები გარე სამყაროსთან კონტაქტის დაფინანსებისთვის. რესურსების უქონლობის შემთხვევაში, მათ მოძიებამდე მიზანშეწონილი იქნება ძალისხმევა იქნეს მიმართული უფასო ვიდეოპაემნების უფრო მოქნილი და ორგანიზებული სახით გამოყენებაზე, რაც შესაძლოა გულისხმობდეს მათი რაოდენობის გაზრდას ან/და გაერთიანებას. ამასთან, უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის არახერსაყრელია რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, ვიდეო პაემანის განმახორციელებელი პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასჯელაღსრულების სისტემის სპეციალურ სამსახურში, საიდანაც თანამშრომლის ნებართვით სპეციალურად ვიდეო პაემნისთვის გათვალისწინებული ტექნიკური მოწყობილობიდან ხორციელდება ვიდეო ზარი მსჯავრდებულთან. შესაბამისად, დამკვიდრებული პრაქტიკით, უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის ვიდეოპაემანის გამოყენება, უმეტეს შემთხვევაში, ხელმიუწვდომელია (თუკი ამ პირთა ოჯახის წევრები არ ცხოვრობენ საქართველოში).

დამატებით, სასჯელაღსრულების #2, #12, #19, და #18 დაწესებულებები არ არის უზრუნველყოფილი ვიდეოპაემნების განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურით.[83] ხოლო განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში კანონით საერთოდ არ არის გათვალისწინებული ვიდეოპაემნით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს და რიგ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის უცხოელი პატიმრის მიერ სხვა ქვეყანაში მყოფ ოჯახთან და ახლობლებთან კავშირის შენარჩუნებას.

78 იქვე, მე-5 ნაწილი.
79 იქვე.
80 იქვე, მე-17 მუხლის მე-13 ნაწილი.
81 იქვე, N7 და N9 დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ დაწესებულებებში უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირები არ არინ მოთავსებულები.
82 ადამიანის უფლება და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში, თავი: მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, გვ. 236-237.
83 იხ. ზემოთ, სქოლიო N43.

გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლებაზე ხელმისაწვდომობის შეფასების მიზნით სასჯელ-აღსრულების დაწესებულებებიდან უმცირესობის წარმომადგენელ და უცხო ქვეყნის მოქალაქე პირებზე ცალ-ცალკე იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია.[84] მოწოდებული კორესპონდენციებით დგინდება, რომ დასახელებულ პატიმრებთან მიმართებაში ცალკე არ წარმოებს მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემები, რის შედეგადაც შეუძლებელი გახდა პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის გაანალიზება და შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირება.[85] პრინციპულად მნიშვნელოვანია სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის მიერ გაანალიზებულ იქნას ყველა ის სირთულეები, რასაც უმცირესობების წარმომადგენელი და უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრები აწყდებიან ოჯახის წევრებთან ან/და ახლობლებთან კავშირის შენარჩუნების კუთხით და შესაძლებლობის ფარგლებში მათ ყველა კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენონ აღნიშნული უფლების თანაბარი და ეფექტური რეალიზაციისთვის.

გარე სამყაროსთან კონტაქტის ნაწილში სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული უცხოელი პატიმრების წახალისებისა და მათთვის შესაძლებლობების მიცემის მიზნით, შეინარჩუნონ რეგულარული და მნიშვნელოვანი ურთიერთობა შვილებთან.[86] წინამდებარე საკითხი მნიშვნელო-ვანია არამხოლოდ პატიმრისთვის, არამედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ 2018 წელს პატიმრის შვილებთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობა არ უნდა იყოს ძვირი. ამასთან, საკომუნიკაციო საშუალებები უნდა გამოიყენებოდეს მოქნილად, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს პატიმარი მშობლების შვილებთან კომუნიკაციას. სადაც შესაძლებელია, შვილებს უნდა მიეცეთ პატიმარ მშობლებთან ზარის წამოწყების შესაძლებლობა.[87] სამწუხაროდ, ეროვნული კანონმდებლობა ზემოთ დასახელებულ საკითხზე არ ითვალისწინებს რაიმე სახის სპეციალურ რეგულაციებს, რითაც ფაქტობრივად უგულებელყოფს პატიმრების შვილთან კომუნიკაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მიმართოს ძალისხმევა, შექმნას საკანონდებლო გარანტიები პატიმრების და მათ შორის უმცირესობის წარმომადგენელი და უცხო ქვეყნის ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიერ შვილთან მყარი კონტაქტის შენარჩუნების მიზნით, რასაც განსაკუთრებულად დადებითი ეფექტი შეუძლია ჰქონდეს პატიმრის რესოციალიზაციაზე.

სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელ პატიმრებთან სექსუალური ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული სტიგმიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრები იშვიათად ან საერთოდ არ დადიან ვიზიტებზე. ამასთან, ამ პატიმრებს არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ პარტნიორთან ხანგრძლივი პაემნის უფლებით, რაც კიდევ უფრო ამწვავებს გარიყულობისა და იზოლაციის განცდას, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ფსიქიკურ მდგომარეობასა და სოციალური რეინტეგრაციის პროცესზე. ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ხანგრძლივი პაემანი დაშვებულია მეუღლესთან ან პირთან, ვისთანაც პატიმარს ჰყავს საერთო შვილები.[88] მეუღლე, თავის მხრივ, გულისხმობს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს.[89] ცნობილია, რომ საქართველოში არ არსებობს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელ პირთა ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი სტატუსი, რაც შეუძლებელს ხდის რაიმე დოკუმენტალური მტკიცებულების წარდგენასა და დასახელებული უფლებით სარგებლობას.

არსებული მიდგომა სხვა პატიმრებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელ პირებს და უზღუდავს მათ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას. იოგიოკარტას პრინციპების თანახმად, ცოლქმრული ვიზიტები პარტნიორის სქესის მიუხედავად თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა პატიმრისთვისა და დაკავებულისთვის.[90] რეგისტრირებულ ქორწინებასთან დაკავშირებული ჩანაწერი აგრეთვე დაბრკოლებას წარმოადგენს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პატიმრებისთვის და მათ შორის უმცირესობების წარმომადგენელ და უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ოჯახად ითვლებიან დაუქორწინებელი წყვილებიც, რომლებსაც მრავალწლიანი თანაცხოვრება აქვთ.[91] ნიშანდობლივია, რომ უმცირესობის

84 იხ. ზემოთ, სქოლიო N43

85 იხ. ზემოთ, სქოლიო N43, გამონაკლისია მე-2 დაწესებულება.

86 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)5 წევრი სახელმწიფოებისთვის, ბავშვებზე, რომელთაც ჰყავთ პატიმარი მშობლები, 4 აპრილი, 2018 წ.

87 წპკ 25-ე წესი.

88 პატიმრობის კოდექსის 172 მუხლის მეორე ნაწილი.

89 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი.

90 იოგაკარტას პრინციპები, მე-2 პრინციპი (თანასწორობის უფლების და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ), მარტი 2007.

91 პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ, N 15197//02, 22 მაისი 2008 წელი პარ. 51 https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-86454%22]}.

წარმომადგენელი (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) და უცხო ქვეყნის არმქონე მოქალაქე პატიმრებთან დაკავშირებით არ მოგვეწოდა პაემნით სარგებლობის, მათ შორის, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის სტატისტიკური მონაცემები.

პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში.[92] უცხოელ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ რეგულარულად იყვნენ ინფორმირებული საზოგადოებრივი საკითხების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე გაზეთების, პერიოდული და სხვა გამოცემების გამოწერით.[93] გარდა ამისა, შესაძლებლობის ფარგლებში უცხოელ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენაზე რადიო და ტელემაუწყებლობაზე ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე.[94] ეროვნულ კანონმდებლობაში რადიო და ტელემაუწყებლობით სარგებლობის შესაძლებლობა და შესაბამისი პროცედურა გათვალისწინებულია პატიმრობის კოდექსით.[95] კანონმდებლობით აგრეთვე გათვალისწინებულია პრესით სარგებლობის შესაძლებლობასაც,[96] ამასთანავე პატიმარს საკუთარი სახსრებით შეუძლია გამოიწეროს და მიიღოს ჟურნალ-გაზეთები.[97]

#2 დაწესებულებაში თვეში ერთხელ იგზავნება განახლებული პრესა თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამასთან, დაწესებულებაში არის ორი თურქული და ერთი აზერბაიჯანული ტელეარხი. #12 დაწესებულებაში ჟურნალ-გაზეთები ხელმისაწვდომია ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და არის ერთი აზერბაიჯანული არხი. #3 დაწესებულებაში ბიბლიოთეკიდან მიეწოდებათ ჟურნალ-გაზეთები რუსულ, თურქულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ხოლო მაუწყებლობა ხდება რუსულ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზე (ერთი თურქული და ერთი აზერბაიჯანული არხი). #8 დაწესებულებაში ხელმისაწვდომია აზერბაიჯანული „გურჯისტანი“, სომხური ვრასტანი, რისი პერიოდულად განახლება ხდება დაწესებულების მიერ. აქვე ხელმისაწვდომია ერთი თურქული და ერთი აზერბაიჯანული არხი.

პრესაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა განსხვავებულია. დაწესებულებებიდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ N3, N12 და N14 დაწესებულებებში ჟურნალ-გაზეთები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, თუმცა უცნობია რა პერიოდულობით მარაგდება პრესით ბიბლიოთეკა. N2 დაწესებულებაში თვეში ერთხელ განახლებადი პრესა ხელმისაწვდომია თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ N8, N17, და N19 დაწესებულებებში პატიმრებისთვის ხელმისაწვდომია გაზეთები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. აუცილებელია, რომ დაწესებულებებში არსებული ჟურნალ-გაზეთები იყოს მრავალფეროვანი, ამასთან იყოს სხვადასხვა ენაზე, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში გაეცნოს მათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება, რომ პატიმრებს არ აქვთ პრესისა და ტელე-რადიო მაუწყებლობის ფართო არჩევანი. ამასთან, მნიშვნელოვანია პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი იყოს გარე სამყაროსთან კონტაქტი ისეთი ფორმით, რომელიც საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და მათი პიროვნული განვითარებისთვის იქნება პოზიტიური.

რეკომენდაციები:

- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოს ვიდეო პაემნის უფლებით სარგებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით, სადაც ამის საჭიროება დგას;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ოჯახთან მყარი კავშირის შენარჩუნების მიზნით განიხილოს ვიდეოპაემნის უცხო ქვეყნიდან განხორციელებისა და შემდგომში მისი რეალიზაციის შესაძლებლობა;
- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის საფუძველზეც მაღალი რისკის დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს მიეცემათ ვიდეო პაემნის განხორციელების შესაძლებლობა;

92 24.10-ე წესი.
93 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია უცხოელი პატიმრების შესახებ, პუნქტი 23.1.
94 იქვე, პუნქტი 23.2.
95 პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლი.
96 პატიმრობის კოდექსის 14-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
97 იქვე, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.

- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიმართოს ძალისხმევა, რათა გადახდისუუნარო უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებს სრულად ან ნაწილობრივ დაუფინანსდეს ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან კონტაქტის საფასური (მაგ: წერილები, სატელეფონო ზარები);
- კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილებები, რის შედეგადაც პატიმრებს შვილებთან მყარი კონტაქტის შენარჩუნების მიზნით ექნებათ დამატებით სამართლებრივი გარანტიები და ტექნიკური შესაძლებლობები;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის განხორციელდეს მათთვის გასაგებ ენაზე ჟურნალ-გაზეთების რეგულარული განახლება და მიწოდება;
- უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის ტელე-რადიო მაუწყებლობა განხორციელდეს მათთვის გასაგებ ენაზე და დაემატოს შესაბამისი არხები.

რელიგია

მონაცემების შესწავლისა და დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის კანონმდებლობა პრაქტიკულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, გარდა რელიგიური და ეთნიკური ნიშნის მქონე პატიმრებისთვის ტანისამოსის და საკვების მიღების ხელშეწყობისა. პრაქტიკაში, პენიტენციური დაწესებულების პოლიტიკიდან გამომდინარე, ამ ჯგუფს მიკუთვნებული პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი არ არის საკულტო საგნები, სპეციფიური საკვები (მაგ. მარხვის პერიოდში) და რელიგიური ლიტერატურა.

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს არ უნდა შეეზღუდოთ აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება. დაუშვებელია რელიგიური ნიშნით პირების დისკრიმინაცია. სხვა თავისუფლებააღკვეთილებს და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს თანაბრად უნდა ჰქონდეთ რიტუალებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.[98] სასჯელაღსრულების სისტემას გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, რათა უზრუნველყოს აღნიშნული ჯგუფისთვის კერძო და კოლექტიურ ლოცვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. დაწესებულებაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს რელიგიური წარმომადგენლების ვიზიტები და სხვა სპეციფიური საჭიროებები: ობიექტები, საკულტო საგნები და მასალები.

მიზანშეწონილია, უცხოელი, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობების აღჭურვა მკვიდრი მოსახლეობის შესაძლებლობების თანაბრად, რათა არ განიცადონ იზოლაცია საკუთარი კულტურისა და ტრადიციებისგან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მათ შეძლონ დაიკმაყოფილონ რელიგიური თუ სულიერი რწმენის მოთხოვნილებები და მიეცეთ საჭირო რიტუალების სრულფასოვნად შესრულების შესაძლებლობა. ხსენებული სტანდარტი გამყარებულია რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ორგანიზაციის, წინამძღვრის ან ასეთი კონფესიის წევრებთან შეხვედრის უფლებით.[99] ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, მოწყვლად ჯგუფებს უნდა მიეწოდოთ რიტუალისათვის საჭირო სპეციალური ჰიგიენური საშუალებები.[100] ამ უფლების განხორციელებისას, ბარიერს, როგორც წესი, წარმოადგენს დისკრიმინაციული მიდგომა ან ცნობიერების ნაკლებობა.

აზრის, სინდისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს, inter alia, თავისუფლებას, პირს ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი. ამ სტანდარტს ეფუძნება პატიმართა მოპყრობის მინიმალური წესები, შესაბამისად რელიგიისა და მრწამსის გამოვლენისთანავე პენიტენციურ დაწესებულებას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება - უზრუნველყოს პატიმრებისთვის სპეციფიური რელიგიური საჭიროებები, რომელიც მოიცავს განთავსების ადგილის, ჰიგიენის, ტანსაცმლის, თეთრეულის, საკვების, სწავლის, რელიგიური გაზეთებისა და წიგნების მიწოდებას.[101]

რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მიღება ასევე გულისხმობს საჭიროებების მიხედვით

98 ნელსონ მანდელას წესები, წესი 2.1.
99 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)12, წესი 30.2.
100 ევროპული ციხის წესები, წესი 29.2.
101 Report of the Special Rapporteur on the Human Rights of Migrants, François Crépeau, Detention of Migrants in an Irregular Situation A/HRC/20/24, პარა. 29.

კვების რაციონის შერჩევასა და უზრუნველყოფას, რომლის ხელშეწყობის ვალდებულებაც აქვს პენიტენციურ დაწესებულებას. პატიმრებს უნდა მიეცეთ უფლება დაიცვან სპეციალური მარხვა ან დიეტა. პოზიტიურ პრაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ საკვების თბილ მდგომარეობაში მიწოდება იმ დროისთვის, როდესაც მათი მიღება უწევთ რელიგიურ უმცირესობებს. თუმცა პენიტენციურ დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საკვების მომზადებისას არ ხდება სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინება, რის გამოც ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე.

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, პატიმრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ ღონისძიებებში,[102] ასევე, იქონიონ და ისარგებლონ რელიგიური ლიტერატურითა და საკულტო საგნებით.[103] მოცემული ნორმა ერთგვარად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, რაც იწვევს პოზიტიურ დამოკიდებულებას. დამატებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი[104] განსაზღვრავს ამ უფლებით სარგებლობის პროცედურებს, რომლის თანახმადაც პატიმრებს შეუძლიათ რელიგიური რიტუალების შესრულება საკანში, ან შესაძლებლობის არსებობისას, ამ მიზნით მოწყობილ შენობებში.[105] პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების თანახმად,[106] რიგ შემთხვევაში არ იკვეთება, კონკრეტულად სად და როგორ ასრულებენ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები შესაბამის რიტუალებს, ასევე ზემოხსენებული ნორმის პრაქტიკაში აღსრულება არ ხდება თანასწორობის პრინციპების დაცვით, ვინაიდან ყველა დაწესებულებაში ფუნქციონირებს მხოლოდ მართლმადიდებლური კუთხე, გარდა პენიტენციური დეპარტამენტის N16 დაწესებულებისა, ხოლო სხვა რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენლებს რიტუალების შესრულების შესაძლებლობა ეძლევათ მხოლოდ საკანში. ვინაიდან პირს თავისუფლების აღკვეთის შედეგად ისედაც ეზღუდება უფლებები, მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციურმა დაწესებულებამ პატიმრები დამატებით არ მოაქციოს მარწუხებში მოუქნელი მექანიზმებით.

სასჯელაღსრულების სისტემამ უნდა გაითვალისწინოს პატიმრების კულტურულ-რელიგიური, ტრადიციისა თუ მრწამსის აღმსარებლობის საჭიროება და შეუქმნას კომფორტული გარემო, სადაც მსჯავრდებულებს საშუალება მიეცემათ განეწყონ სულიერად და ფსიქოლოგიურად, რათა შეასრულონ რელიგიური რიტუალები. ასევე, სისტემის მმართველობა უნდა მიისწრაფოდეს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, ისევე როგორც ეთნიკური ან რასობრივი უმცირესობის წარმომადგენლებს, მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი მკვიდრ მოსახლეობასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამ ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრას ჯგუფებისთვის და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას, რომლის უქონლობამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საკანში ლოცვის ან რიტუალის შესრულების პროცედურებს და გამოიწვიოს ამ პირთა დისკრიმინაცია. ამასთანავე, რელიგიის ან მრწამსის გამოვლინების თავისუფლება არ არის მხოლოდ ინდივიდუალური უფლება - ის შეიძლება იყოს კოლექტიური, როგორც ეს აღიარებულია კონვენციით.[107] ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რელიგიური რიტუალებისთვის გამოყოფილი სპეციალური შენობა ან საკანი, რომელიც გამოყოფილია მხოლოდ უმრავლესობისთვის, არ არის მორგებული უმცირესობის საჭიროებებზე.

პრაქტიკაში ასევე იკვეთება რელიგიური ლიტერატურაზე და საკულტო ნივთებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების[108] თანახმად, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ ბიბლიოთეკაში მოიპოვება მხოლოდ მართლმადიდებლური ლიტერატურა ქართულ ენაზე, ამასთან მხოლოდ ერთი დაწესებულება აღნიშნავს,[109] რომ რელიგიური უმცირესობისა და აღმსარებლებისთვის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები ხელმისაწვდომია, თუმცა ბუნდოვანია აღნიშნული უფლების რეალიზაციის საკითხი, ვინაიდან არ არის დასახელებული, თუ რომელი ლიტერატურა რა ენებზეა ხელმისაწვდომი ან რომელი რელიგიის წარმომადგლებისთვის.

პოზიტიურ დამოკიდებულებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ დასახელებული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც რელიგიური ლიტერატურის, ისე საკულტო

102 პატიმრობის კოდექსი მე-14 მუხლის პირველი პუნქტი „გ“ ქვეპუნქტი.
103 იქვე, მე-3 პუნქტი.
104 2010 წლის 30 დეკემბრის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N187 ბრძანება.
105 იქვე, მუხლი 4.
106 12.09.2018 წლის N51800839878; 14.09.2018 წლის N81800847304; 13.09.2018 წლის N31800840199; 13.09.2018 წლის N9180084465; 10.09.2018 წლის N61800830904; 10.09.2018 წლის N11800830639; 07.09.2018 წლის N01800823438; 03.09.2018 წლის N01800802747; 06.09.2018 წლის N01800829603 წერილი; 05.09.2018 წლის N91800814996 და 11.09.2018 წლის N91800834039 წერილები.
107 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული სიტყვებით „სხვებთან ერთად“.
108 გარდა N8 დაწესებულებისა, ასევე იხ. სქოლიო N10.
109 2018 წლის 03 სექტემბრის N01800802747 წერილი; N2 დაწესებულება.

ნიშნების ამანათის სახით მიღება, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის ამ უფლების რეალიზაცია ხშირად წარმოადგენს პრობლემას, მათი ახლო ნათესავების გეოგრაფიული ფაქტორისა და ვიზიტების სიმცირის გათვალისწინებით.[110]

დადებით ფაქტორს წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების პრაქტიკა, რომლის თანახმადაც რელიგიური ორგანიზაციებიდან, საპატრიარქოდან და საელჩოებიდან მიღებული რელიგიური ლიტერატურა ხელმისაწვდომია პატიმრებისთვის. თუმცა დაწესებულების ადმინისტრაცია, ისევე როგორც დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზია, ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთათვის საკულტო ნივთებით მომარაგებას და მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად პატიმრებს აქვთ ასეთი ნივთების ქონის უფლება, პრაქტიკულად ისინი მოკლებული არიან ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას. პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების[111] თანახმად, პატიმრებს შეუძლიათ ასეთი ნივთები მიიღონ ამანათის სახით, ან შეიძინონ ისეთი რელიგიური საჭიროებების ნივთები როგორიცაა: არაძვირფასი ლითონის ჯვარი, საკმეველი, სანთელი, ხატი და ა.შ. აღნიშნული ჩამონათვალი კი, ასევე, არ ითვალისწინებს რელიგიური უმცირესობის საჭიროებებს.

თვალსაწიერს მიღმა არ დარჩენილა რელიგიური საჭიროებებიდან გამომდინარე სპეციფიურ ტანისამოსზე ხელმისაწვდომობის საკითხი. პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხის თანახმად, თითოეული მათგანი მითითებას აკეთებს დაწესებულების დებულებაზე, რომლის თანახმადაც განსაზღვრულია, თუ რა სახის ტანისამოსის ტარება ეკრძალება მსჯავრდებულს. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკა რჩება ბუნდოვანი და გაუგებარია, აქვთ თუ არა პატიმრებს ხელმისაწვდომობა ატარონ რელიგიური ტანისამოსი.

რეკომენდაცია:

- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი პატიმრებისთვის პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში უზრუნველყოს სპეციფიური რელიგიური ინვენტარის (საკულტო ნიშნების, ჰიგიენური საშუალებების) შეტანა;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი პატიმრებისთვის პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე უზრუნველყოს რელიგიური კუთხის (მაგ. ცაკლე სივრცის/საკნის) მოწყობა;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი პატიმრებისთვის პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ ბიბლიოთეკაში უზრუნველყოს რელიგიური ლიტერატურის შეძენა და ხელმისაწვდომობა.

უსაფრთხოება

მონაცემების შესწავლისა და დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასჯელაღსრულების სისტემის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სუბკულტურა. უმცირესობის ჯგუფებთან მიმართებით კი არ არის დამუშავებული სტრატეგია და უსაფრთხოების მექანიზმების გამოყენების სტანდარტები. ასეთი სამოქმედო გეგმის დანაკლისი კი იწვევს დისკრიმინაციულ და ანტაგონისტურ დამოკიდებულებას, როგორც პატიმრებს შორის, ასევე პერსონალის მიმართ.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდის და თვითდაზიანების პრევენციას.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად,[112] ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს პატიმრების მიმართ გამოყენებული უსაფრთხოების ზომები, რომელიც უნდა იყოს მინიმალური მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის. პირველ რიგში, შეფასების საგანს წარმოადგენს რისკი, რომელსაც თავისუფლებააღკვეთილი პირები უქმნიან საზოგადოებას. შესაბამისად, ამ რისკ-ფაქტორის

110 იხ. წინამდებარე ანგარიში „გარე სამყაროსთან კონტაქტის“ თავი.
111 აქვე, იხ. სქოლიო N10.
112 ციხის ევროპული წესები, წესი 51.1; 51.3.

გამოკვლევის კრიტერიუმს წარმოადგენს მათი პენიტენციური დაწესებულებიდან დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით გაქცევის შესაძლებლობის შეფასება. ამასთანავე, ასეთი სახის უსაფრთხოების ღონისძიებები განმტკიცებული უნდა იყოს დინამიური უსაფრთხოების მეშვეობით, რომელსაც უზრუნველყოფს პერსონალი, ვინც კარგად იცნობს მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პატიმრებს.[113] რა თქმა უნდა, ასეთი მაღალი სტანდარტის მქონე უსაფრთხოების ღონისძიებას გააჩნია პატიმრებისთვის დამცავი გარანტია, რომელსაც წარმოადგენს - რეგულარული გადასინჯვის მექანიზმი.[114]

უსაფრთხოების ღონისძიების და პატიმრის რისკის განმსაზღვრელ ფაქტორს, აპრიორი, თავისუფლებააღკვეთილი პირების მოქალაქეობა, კულტურა ან რელიგია არ წარმოადგენს, თუმცა სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებული პატიმრების საჭიროებების კვლევა და სხვადასხვა ხასიათის ინციდენტების მონაცემების დამუშავება, დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას დააიდენტიფიციროს პოტენციური რისკები და ხელი შეუწყოს მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული პატიმრების უფლებების დაცვას და რეალიზებას.

ნიშანდობლივია, რომ პატიმრებს შეზღუდული აქვთ ერთ-ერთი ფუნდამენტური - თავისუფლების უფლება, ხოლო დამნაშავეთა სასჯელის განსაზღვრა მიზნად საზოგადოების დაცვას ისახავს. დემოკრატიული სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს მოსახლეობის დაცვა და უსაფრთოხება, თუმცა მნიშნველოვანია გავიაზროთ, რომ მხოლოდ სასჯელაღსრულების სისტემის შეფასების შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ, რამდენად აღსრულდა და მოქმედებს სახელმწიფო უსაფრთხოების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, სასჯელაღსრულების სისტემა პატიმრებისთვის უნდა ქმნიდეს საზოგადოებაში რეინტეგრაციის, ნოვატორულ აწმყოზე მორგებულ სისტემას და არ უნდა წარმოადგენდეს კრიმინალურ საწყობს.[115] სწორედ ეს გარემოება მიუთითებს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში უსაფრთხოების დაცვა პრაქტიკაში საკმაოდ რთულია. ადამიანის უფლებებსა და მათ სამართლებრივ შეზღუდვას შორის „ბეწვის ხიდია“. შესაბამისად, პენიტენციურმა დაწესებულებამ ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობის გაძლიერებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა წარმომავლობის მქონე პატიმრებს ან ციხის თანამშრომლებს შორის.[116] ამ მიზნის მისაღწევად პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ დინამიური უსაფრთხოების პროცესების დაცვა.[117]

უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არმქონე პირების, ისევე როგორც ეთნიკური რელიგიური და რასობრივი უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფების მიმართ საჭიროა მეტი მობილიზაცია, რათა პენიტენციურმა დაწესებულებამ უზრუნველყოს მათი დაცვა. აუცილებელია პენიტენციურმა დეპარტამენტმა გააანალიზოს, რომ ამ უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფებისთვის გაუგებარია მართლმსაჯულების და სამართალწარმოების სისტემა, რადგან მიჩვეულები არიან განსახვავებულ კულტურას და ცხოვრების რეჟიმს. შესაბამისად, მათი დაცვა რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური შეურაცხყოფისა და ძალადობისგან წარმოადგენს ერთგვარ გამოწვევას. პენიტენციური დაწესებულებაში განთავსებამდე მიზანშეწონილია შეფასდეს იმ პატიმართა პოტენციური რისკ-ფაქტორები, ვისთან ერთადაც დაგეგმილია მათი მოთავსება.[118]

უმცირესობათა ამ ჯგუფების სეგრეგაცია და სხვა პატიმრებისგან განცალკევებით მოთავსება არ წარმოადგენს კარგ პრაქტიკას, პირიქით მნიშნველოვანია მათი „ციხის საზოგადოებაში“ ინტეგრაცია და თანასწორობის პრინციპის შენარჩუნება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სპეციფიური საჭიროებების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას.[119] ხსენებული მიდგომა ხელს უწყობს დისკრიმინაციის პრევენციას.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია ენის ბარიერის დაძლევა. აუცილებელია პენიტენციური დაწესებულების რეჟიმისა და უსაფრთხოების მოთხოვნების უმცირესობათა ჯგუფებისათვის გასაგებ ენაზე მიწოდება, რათა კომუნიკაციის პრობლემამ არ გამოიწვიოს პატიმრების იზოლაცია/თვითიზოლაცია. ამასთანავე, მნიშნველოვანია დისციპლინური სამართალწარმოების სისტემაში მათი სრულფასოვანი მონაწილეობა, რის გამოც დაწესებულებამ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურება.[120]

113 იქვე, წესი 51.2.
114 იქვე, წესი 51.5.
115 2016 წლის ნოემბრის ინგლისის იუსტიციის სამინისტროს რეფორმა, პარა. 2. (Presented to Parliament by the Lord Chancellor and Secretary of State for Justice by Command of Her Majesty) ხელმისაწვდომია: (https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/565014/cm-9350-prison-safety-and-reform-_web_.pdf).
116 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2012)12 წესი, 32.3.
117 იქვე, წესი 32.1.
118 ციხის ევროპული წესები, წესი 52.3 და 52.1.
119 2009 წლის გაერის სახელმძღვანელო პრინციპი სპეციალური საჭიროების მქონე პატიმრების თაობაზე, (Handbook on Prisoners with special needs) პარა. 4.2.4.
120 იქვე, პარა. 2.4
(ასევე, EU Foreign Prisoners Project, Conference Paper, p. 17).

პატიმრების დაცვის არსებით მექანიზმს წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. საერთაშორისო სახელმძღვანელოების თანახმად, მოწყვლადი ჯგუფების მიმართ გამოყენებული სასჯელი დისკრიმინაციის პირდაპირპროპორციული შეიძლება იყოს.[121] პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების თანახმად, ამ ჯგუფებს მიკუთვნებული პატიმრების მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაცია არ მუშავდება, რაც შეუძლებელს ხდის საკითხის შესწავლას და სავარაუდო ხარვეზების გამოკვეთას, მათ შორის სასჯელის გამოყენებისას ან/და ინციდენტების რაოდენობის გათვალისწინებით სავარაუდო არათანასწორი მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებას. ამასთანავე, გასაჩივრების მოქმედი მექანიზმი არ არის უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე მორგებული, ვინაიდან ბაჟის გადახდისა და ინტერესების დამცველის მოძიების პროცესი მათთვის არაა მარტივად ხელმისაწვდომი.

უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, ისევე როგორც უმცირესობათა ჯგუფებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამართლებრივი გარანტიების არსებობა, ვინაიდან მათთვის განსაკუთრებით რთულია ინტეგრაციის პროცესების გავლა, ხოლო დამატებით უსაფრთხოების ღონისძიებები (მაგ. მუდმივი იზოლაცია) იწვევს მათ არაპროპორციულ შეზღუდვას.

პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების[122] თანახმად, ამ მოწყვლად ჯგუფთან მიმართებით უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების თაობაზე არ არსებობს სტატისტიკური ინფორმაცია, რაც ასევე, მეტყველებს, რომ ტენდენციების და ამ ჯგუფის სპეციფიური საჭიროებების კვლევა და მათზე რეაგირების თუ პრევენციის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა არ ხდება.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში[123] აღნიშნულია, რომ პატიმრების განცალკევების შესახებ პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ბრძანებას ცალკე არ გამოსცემს და პატიმრის ფაქტობრივი განცალკევება ხდება მის მიმართ ვიზუალური მეთვალყურეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სხვა საკანში გადაყვანის გზით. ასევე, პენიტენციურ დაწესებულებაში სისტემურ ხასიათს ატარებს პატიმრების განმარტოებით მოთავსება კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვის გარეშე, ხოლო გადაწყვეტილების სავალდებულო წესით გადასინჯვის მექანიზმის შესახებ რეკომენდაცია არ შესრულდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით,[124] მსჯავრდებულის იზოლაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განუსაზღვრელი ვადით.

დამატებით უნდა აღნიშნოს, რომ დახურული და მაღალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში საკნების მნიშვნელოვან ნაწილში ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი.[125] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.[126] ერთის მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტორებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, განსაზღვრული არაა. კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს იმ გარემოების დასაბუთებას, თუ რატომ არ არის ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც მნიშვნელოვანია რათა ბრძანების შინაარსი იყოს გასაგები და არა შაბლონური ხასიათის.

121 გაეროს ოფისი ნარკოტიკებთან და დანაშაულთან დაკავშირებით, სახელმძღვანელო პრინციპები განსაკუთრებული რისკის პატიმრების მენეჯმენტი, გვ.105, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf (ბოლოს ნანახია 12.10.2018 წელს).

122 12.09.2018 წლის N51800839896; 13.09.2018 წლის N51800844151; 14.09.2018 წლის N618000847302; 12.09.2018 წლის N71800839898; 13.09.2018 წლის N01800840204; 13.09.2018 წლის N201800844068; 13.09.2018 წლის N81800844064: 10.09.2018 წლის N91800830853; 10.09.2018 წლის N11800830855; 10.09.2018 წლის N41800830416; 10.09.2018 წლის N01800830476; 07.09.2018 წლის N11800823718; 07.09.2018 წლის N01800821827; 07.09.2018 წლის N11800820720; 07.09.2018 წლის N91800820719; 07.09.2018 წლის N11800823907; 07.09.2018 წლის N41800823883; 05.09.2018 წლის N81800813798; 06.09.2018 წლის N11800816347; 11.09.2018 წლის N21800834014; 11.09.2018 წლის N41800833972 წერილები.

123 2016 წლის სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 21.

124 RAMIREZ SANCHEZ v. FRANCE, 04.06.2006, 59450/00, პარა.145.

125 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი.

126 წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარა. 52.

დახურული ტიპის და მაღალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღე-ღამის განმავლობაში საკანში ატარებენ 23 საათს. ობიექტური შეფასებით არ არის მიზანშეწონილი მოცემული ვადით პატიმრების იზოლირება და განსაკუთრებით, უსაფრთხო საკნებში ხანგრძლივი დროით მოთავსება. ასეთი პრაქტიკა შესაძლოა გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, რაც ზრდის ამ პატიმრების მხრიდან საკუთარი თავისთვის ან სხვა პირებისთვის საფრთხის შექმნის რისკს.[127] სამწუხაროა, რომ ეროვნული კანონმდებლობით არ რეგულირდება პატიმრის განცალკევების მაქსიმალური ვადა და არსებობს მხოლოდ დაწესებულების დირექტორის დისკრეციული უფლებამოსილება. ასეთი მნიშვნელოვანი გარანტიის დანაკლისი ქმნის თვითნებობისა და შაბლონური ხასიათის გადაწყვეტილების მიღების მაღალ რისკს.

რაც შეეხება დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსებას, ვადა არის არაპროპორციული ამ ღონისძიების მიზნებისთვის. ამასთან, იგი იმეორებს უსაფრთხოების ერთ-ერთი[128] არსებული ღონისძიების მიზნებს და ფუნქციას. ამავდროულად დამკვიდრებულია ღონისძიების აღსრულების მანკიერი პრაქტიკა, კერძოდ პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული პასუხების თანახმად, პატიმრებს ეზღუდებათ გასეირნების, პროდუქციის შესყიდვის და გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია აღნიშნული ღონისძიებების სამედიცინო დაწესებულებაში გამოყენება.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშიდან ნათლად იკვეთება უსაფრთხო ოთახში არსებული ფიზიკური გარემო, რომელიც სათანადოდ ვერ იცავს და არ გამორიცხავს იქ მყოფი პირის მიერ თვითდაზიანების მიყენების შესაძლებლობას. ამას გარდა, მონიტორინგის ჩატარების შედეგად, პრაქტიკაში გამოვლინდა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსებულ პირს სრულად ეზღუდება გარე სამყაროსთან კონტაქტი.[129]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას „დინამიური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[130] ასეთი პრაქტიკის დანერგვისა და განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია სასჯელაღსრულების სისტემამ არ განახორციელოს რეპრესიული და თვითნებური მიდგომა პატიმრების მიმართ და შეიმუშავოს განახლებული სტრატეგია, მიზნები, საზოგადოებრივი ინტერესებით გაჯერებული ხედვა და სამოქმედო გეგმა.

უსაფრთხოების სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე სტატისტიკური და პრაქტიკული ინფორმაცია პენიტენციური დეპარტამენტიდან არ მოგვეწოდა, მათ შორის დასახელებულ მოწყვლად ჯგუფთან მიმართებით, რის გამოც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირება შეუძლებელია.

---

127 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში 2015 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში (პარ. 85) აღნიშნავს: „სპეციალური მომხსენებელი ინფორმირებულ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში პატიმრებმა შესაძლებელია რამდენიმე თვე გაატარონ იზოლირების პირობებში და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავი მოპყრობას და წამებასაც კი გაუტოლდეს. ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://documents-dds8ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement)
[ბოლოს ნანახია: 30.08.2018]

128 პატიმრობის კოდექსი 57-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

129 სახალხო დამცველის ანგარიში, გვ. 155.

130 გაეროს ოფისი ნარკოტიკებთან და დანაშაულთან დაკავშირებით, სახელმძღვანელო პრინციპები განსაკუთრებული რისკის პატიმრების მენეჯმენტი, გვ. 81-86. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Prisoners_with_Special_Needs.pdf (ბოლოს ნანახია 12.10.2018 წელს)
შემდეგ მისამართზე: <http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf>(ბოლოს ნანახია 30.08.2018).

დაზიანება/თვითდაზიანება

დახურული და მაღალი რისკის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები საკანში იმყოფებიან 23 საათი ყოველგვარი საინტერესო თავშესაქცევის და აქტივობების გარეშე. ასეთ მკაცრ პირობებში მყოფ პატიმრებს უყალიბდებათ ანტაგონისტური დამოკიდებულება, რაც აძლიერებს პროტესტის, უსამართლობის და უიმედობის განცდას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ენის ბარიერი, რის გამოც ხშირად ვერ იგებენ კონკრეტულ მითითებს რეჟიმის საჭიროებებთან დაკავშირებით, ხოლო მოწყვლადი ჯგუფების მიმართ არსებული ელემენტარული სტიგმატიზაცია წარმოშობს თვითდაზიანების ან სუიციდის მცდელობის რისკს.

ნიშანდობლივია, რომ პენიტენციური დეპარტამენტის N2 დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოვლინდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის ძალადობის შვიდი ფაქტი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შორის კი ორი. უმცირესობათა ამ ჯგუფების მიმართ ასევე დაფიქსირდა თვითდაზიანების თერთმეტი ფაქტი. ეს მაჩვენებელი ცხრა თვის განმავლობაში საკმაოდ მაღალი და საგანგაშოა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სხვა დაწესებულებებიდან მონაცემები არ მოგვეწოდა მათი დაუმუშავებლობის გამო. პოტენციური საფრთხეების შესახებ სასჯელაღსრულების სისტემამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგიული ხედვა, რომელიც მინიმუმ მსგავსი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებით უნდა დაიწყოს, რასაც სისტემური მიდგომა არ აქვს დაწესებულებების და დეპარტამენტის მხრიდან.

საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიშში[131] აღნიშნავს, რომ ავტოაგრესიული ქმედების ჩადენის ძირითად მიზეზად დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული მამაკაცი პატიმრების უმრავლესობა დაწესებულების თანამშრომლებთან ურთიერთობას ასახელებენ.

პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული პასუხების[132] თანახმად, დაზიანებისა და თვითდაზიანების სტატისტიკა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ არ წარმოებს. დადებითად უნდა აღინიშნოს პენიტენციური დეპარტამენტის N16 დაწესებულების პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, დაწესებულების თანამშრომლები პატიმარს თვითიზოლაციის მოთხოვნის შემთხვევაში სთავაზობენ რამდენიმე ალტერნატიულ ღონისძიებას, ხოლო იზოლირებით მოთავსებულ პატიმრებს ამოწმებენ ინტენსიურად დღის განმავლობაში. სხვა დაწესებულების დამოკიდებულებით კი იკვეთება, რომ სასჯელაღსრულების სისტემა გულგრილად ეკიდება მოწყვლადი ჯგუფის სპეციფიური საჭიროებების და რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობის გამოკვლევის საკითხს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასჯელაღსრულების პოლიტიკა დაიხვეწოს და შემუშავდეს შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები.

იზოლაცია

პატიმართა იზოლაციის მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუმცა ზემოთ აღნიშნული ტენდეციის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იზოლაცია არის არა რაიმე საგამონაკლისო ღონისძიების გატარების, არამედ პენიტენციური სისტემის ყოველდღიური ყოფის ნაწილი. ნიშანდობლივია, რომ პენიტენციური დაწესებულების პერსონალი კისრულობს ზრუნვის ვალდებულებას, რაც მოიცავს თითოეული ინდივიდის დაცვას, როგორც სხვა თანამშრომლებისგან, ისე პატიმრებისგან, ვისაც მათი დაზიანება სურს. აღნიშნული ღონისძიებების გატარება, ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, რომელიც ფორმალური ხასიათისაა და სამართლებრივ საფუძვლად, როგორც წესი, მითითებულია უსაფრთხოების ღონისძიება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უმცირესობის ჯგუფების (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური) და უცხო ქვეყნის მოქალაქეების თაობაზე ასეთი ღონისძიებების სტატისტიკური ინფორმაცია არ მოგვეწოდა, მათი არარსებობის გამო.

ლგბტ პირები ამ თვალსაზრისით მაღალი რისკის მატარებელ კატეგორიას წარმოადგენს და მათ მიმართ პრაქტიკულად მუდმივად არსებობს საშიშროება სხვა პატიმრების მხრიდან დისკრიმინაციის,

131 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 46.
132 იხ. ზემოთ, სქოლიო N122.

სიტყვიერი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეურაცხყოფის. წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) აღნიშნავს, რომ ძალადობა მოიცავს გარემოებათა ფართო სპექტრს, დაწყებული სქესობრივი ძალადობის შეუმჩნეველი ფორმებიდან, დამთავრებული სრულიად ცხადი დაშინებებითა და სერიოზული ფიზიკური შეტაკებებით.[133] ცალკეულ სიტუაციებში აღნიშნული მოწყვლადი კატეგორიის ინდივიდუალური ან ჯგუფური იზოლაცია ეფექტური დამცავი ღონისძიებაა, თუმცა ამ ჯგუფის იდენტიფიცირება არ უნდა იყოს ინტრუზიული და სტიგმატიზირებული. სხვა პატიმრებისგან განცალკევებამდე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური კონსულტაცია, რათა განცალკევების საკითხი ყოველთვის გადაწყდეს მათი თანხმობით.[134] ამასთან, განცალკევება უნდა იყოს დროებითი ღონისძიება, მისი საფუძველი და პროპორციულობა რეგულარულად უნდა შეფასდეს, რათა არ გამოიწვიოს მუდმივი იზოლაცია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ განცალკევებით მოთავსებული ლგბტ პირებისთვის შენარჩუნდეს დაწესებულებაში არსებული საქმიანობის, მომსახურებისა და სარგებლის ხელმისაწვდომობა.

უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირები, ისევე როგორც რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, უნდა სარგებლობდნენ იდენტური უფლებებით, როგორც მკვიდრი მოსახლეობა. შესაბამისად, არაა მიზანშეწონილი მხოლოდ რელიგიური, რასობრივი ან ეთნიკური ნიშნით უსაფრთხოების ღონისძიების გატარება ან იზოლირება, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ნიშნით რომელიმე მოწყვლადი ჯგუფი გახდა დისკრიმინაციის ან ძალადობის რაიმე ფორმის მსხვერპლი, შესაძლოა სხვა პატიმრებისგან მათი დროებით განცალკევება.[135] ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში, სავალდებულოა გარანტიების მექანიზმის ამუშავება, რათა კონკრეტული უსაფრთხოების ღონისძიება იყოს დაცული დისკრიმინაციული მიდგომებისაგან და მოქმედებდეს გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის მექანიზმი. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი მექანიზმი ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს. ხსენებული მოდელი, მეტწილად მიესადაგება ნახევრად–ღია ტიპის დაწესებულებას, თუმცა მაღალი რისკის ან დახურული ტიპის დაწესებულებაშიც არაა მიზანშეწონილი მსჯავრდებულთა იზოლირება, მათი თანხმობის გარეშე.

პენიტენციური დაწესებულების პერსონალმა უნდა უზრუნველყოს სპეციფიურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმი, უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პატიმრების უსაფრთხოება და დაცვა, რომელიც წარმოიშვება მოწყვლად ჯგუფთან აქტიური ურთიერთქმედებით, კარგი დამოკიდებულებით და დინამიური უსაფრთხოების, ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტული პოლიტიკის გატარებით.[136] ასევე, მნიშვნელოვანია ციხის თანამშრომლების მომზადება და ინფორმირება, რათა განჭვრიტონ პოტენციური ან ფაქტობრივი კონფლიქტები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას კულტურული, რელიგიური და შიდა ეთნიკური განსხვავებების ან დაძაბულობის გამო.[137]

იზოლაცია, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ღონისძიება, ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს, შესაძლოა მისი გამოყენება მხოლოდ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო რიგ შემთხვევებში საფუძველს წარმოადგენს ძალადობის აღკვეთა ან მისი პრევენცია. წამების პრევენციის კომიტეტი (CPT)[138] სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შიდა ძალადობის ფენომენის დასაძლევად განსაზღვრავს კონკრეტულ საჭიროებებს.

სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალი უნდა იყოს სათანადოდ ნასწავლი და სწორად განაწილებული (რაოდენობრივი ფაქტორის გათვალისწინებით), რათა ჯეროვნად აღასრულოს ზედამხედველობის მექანიზმი. იგი უნდა რეაგირებდეს საფრთხის ნიშნებზე და საჭიროებისამებრ ერთვებოდეს სიტუაციაში. ამ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის არსებობას, რაც დაეფუძნება უსაფრთხო ზედამხედველობისა და მოვლის გაგებას.

მეორეს მხრივ, პატიმრები რომლებიც მაღალი რისკ ფაქტორის მატარებლები არიან (მაგ. სასჯელს იხდიან გაუპატიურებისთვის ან მცირეწლოვანის მკვლელობისთვის), რაც ზრდის სხვა პატიმრების მხრიდან თავდასხმის ალბათობას, შეიძლება მოთავსდნენ განცალკევებით, თუმცა ასეთ შემთხვევაში პატიმარს ეზღუდება საქმიანობა და ის სარგებელი, რომელსაც დაწესებულების რეჟიმი განსაზღვრავს სხვა პატიმრებისთვის. შესაბამისად, იზოლაციის ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს მაღალი რისკ ფაქტორის მატარებელი პირების სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაფანტვა, რა დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩვეულებრივ საკნებში სათანადო ინტეგრაციისთვის აუცილებელი პირობები.

133 CPT/Inf(2001)16, პარა. 27.
134 ნელსონ მანდელას წესები, წესი 89.
135 ნელსონ მანდელას წესები, წესი 93.
136 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)12, წესი 31.1; 31.3.
137 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)12 , წესი 32.2 32.4.
138 CPT/Inf(2001)16, პარა. 27.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმართა იზოლაცია შეიძლება მიზნად არ ისახავდეს მსჯავრდებულთა დასჯას და მკაცრ პირობებში მოთავსებას, თუმცა საბოლოოდ მსჯავრდებულებისთვის უფლებების შეზღუდვის გამო ყალიბდება სასჯელაღსრულების სისტემის მიმართ ანტაგონისტური და მტრული განწყობა, რაც წარმოადგენს რეპრესიული მექანიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთ წინაპირობას. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2006-2012 წლებში სასჯელაღსრულების სამინისტროში არსებული პოლიტიკა, რა დროსაც სისტემატიურად ირღვეოდა პატიმრების უფლებები და საყოველთაო შეფასებით, ასეთი რეჟიმი მიჩნეულ იქნა არაჰუმანურ და წარუმატებელ მოდელად.

სასჯელაღსრულების სისტემის მანკიერი პრაქტიკაა სუბკულტურა, რომელიც პატიმრების დაპირისპირების, იზოლაციის, თვითიზოლაციის და ძალადობის წამახალისებელ ფენომენად შეგვიძლია მივიჩნიოთ. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს სამართლებრივი რეჟიმის ფუნქცია და მიმართოს ძალისხმევა ამ ნეგატიური კულტურის აღმოსაფხვრელად. პატიმრები, რომლებიც უარს ამბობენ სუბკულტურის წევრობაზე, მოიაზრებიან იმ პირთა წრედ, რომლებიც საკუთარი მიზნების ლეგიტიმური საშუალებით მიღწევას ცდილობენ, რის გამოც ხდება მათი ავტომატური იზოლაცია, როგორც სუბკულტურის, ასევე სასჯელაღსრულების სისტემის მიერ.

პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული სუბკულტურა[139] წარმოადგენს ციხის დაუწერელი კანონების ერთობლიობას, რომელიც საბჭოთა კავშირში შეიქმნა და თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემაში დღემდეა დამკვიდრებული. მას საკმაოდ ფართო გავლენა გააჩნია და თითქმის ყველა პატიმარის ცხოვრების წესს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალურ სუბკულტურას წარმოადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც გაერთიანებული არიან კრიმინალურ ჯგუფებში, იცავენ დაუწერელ კანონებს და ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრილი საზოგადოების ნებისმიერი წრის თუ ჯგუფის წარმომადგენელი, სასჯელის მოხდის პერიოდში ხდება სუბკულტურის ნაწილი.

სუბკულტურას გააჩნია იერარქია, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირები არიან ყველაზე დაბლა მდგომ საფეხურზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირები, თავის მხრივ, კიდევ ორ ნაწილად იყოფა, კერძოდ, ჰომოსექსუალი პატიმრები გამოყოფილი არიან სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული სხვა პატიმრებისგან. ისინი ითვლებიან ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ კატეგორიად; ეკრძალებათ სხვა პატიმრებთან საკანში შესვლა და საუბარი, ხელის ჩამორთმევა, საკვების ან რაიმე საყოფაცხოვრებო ნივთების მიწოდება და სხვა. ამ საკითხს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სარეაბილიტაციო პროგრამებში არ ხდება მათი ერთობლივი ჩართვა. აღსანიშნავია, რომ ამ პატიმრებს ევალებათ ყველაზე მძიმე სამუშაოს შესრულება, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია დასუფთავებასთან: საპირფარეშოების, საერთო საშხაპეების, ეზოების და სამზარეულოს დალაგება სწორად ამ პირების ვალდებულებას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი საკუთარ თავს (იდენტობას) არ მიაკუთვნებს სექსუალურ უმცირესობას და არ თვლის რომ ჰომოსექსუალია.

თუმცა ეს პირები უმცირესობას მიაკუთვნეს სუბკულტურის მაღალი იერარქიის საფეხურზე მდგომმა პირებმა, ზემოხსენებული დაუწერელი კანონის დარღვევისა და ამ იდეისთვის მიუღებელი მოქმედებების გამო. დაუწერელი კანონი კი იმდენად მკაცრია, რომ ნებისმიერი პატიმარი, რომელიც ამ კატეგორიასთან საქმეს დაიჭერს, ავტომატურად უტოლდება და ენიჭება უმცირესობის წარმომადგენელი წევრის სტატუსი.

ყველაზე საზარელი, რასაც სუბკულტურის დაუწერელი კანონი ითვალისწინებს აღნიშნული პირების მიმართ, არის სექსუალური კავშირის დამყარების უფლება, რა დროსაც მაღალი იერარქიის საფეხურზე მდგომ პირს აქვს უფლება, ძალის გამოყენებითაც კი, დაამყაროს კავშირი სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებულ პატიმრებთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პატიმრები განმარტავენ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ასეთი ფაქტები არ დაფიქსირებულა.[140]

მსჯავრდებულები ასევე აღნიშნავდნენ, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია სხვა პატიმრებისგან გამორჩევის მიზნით აიძულებდა ფორმის ჩაცმას, ხოლო აღნიშნული პრაქტიკის მოშლის შემდეგ, ხელსახვევის გაკეთებას.[141]

ზემოაღნიშნული გარემოებების, სტატუსების, კატეგორიების და იერარქიის აღიარება, დაუწერელი კანონების კონსერვატიულობისა და სიმკაცრის გამო, უწევს სასჯელაღსრულების ადმინისტრაციასაც, მეტიც, ხშირ შემთხვევებში ხდება მათი წახალისებაც.

---

139 2014 წლის სასჯელაღსრულების სამართლის წიგნი, ავტ. ანტონ ქელბაქიანი, თავი 10.1.

140 2013 წლის საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსმ პატიმრების საჭიროებების კვლევა აივ-ის პრევენციასთან მიმართებით ჩატარებული კვლევა, გვ. 14.

141 იქვე, გვ. 17.

წახალისების ერთ–ერთ ყველაზე თვალსაჩინო მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტი, რომ არასდროს უმცირესობის წარმომადგენელ პატიმარს არ დაურიგებია საკვები პატიმრებისთვის, შესაბამისად სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია სამეურნეო სამსახურში პირის ჩარიცხვის დროს ითვალისწინებს დაუწერელი კანონის არსებობას და მასობრივი უკმაყოფილების ტალღის ან პროტესტის თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრავს, რომ დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს ჰომოსექსუალი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს პატიმრების არსებული სტიგმა და შტამპის არსებობა, რომლის თანახმადაც, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა პრესტიჟული არ არის. სასჯელაღსრულების სისტემის აღნიშნული დამოკიდებულება დისკრიმინაციულია და უმცირესობის წარმომადგენლებისთვის აპრიორი განსაზღვრავს ყველაზე მძიმე და რთული სამუშაოს შესრულების ვალდებულებას.

სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებულ პირების განთავსებასთან დაკავშირებით სტატისტკური ინფორმაცია კვლევის ფარგლებში არ მოგვეწოდა, სავარაუდოდ პენიტენცური დაწესებულებებში მათი არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სექსუალური უმცირესობის დაცვის მიზნით პენიტენციური დაწესებულებები მათ იზოლაციას ახორციელებენ. თავის მხრივ, ეს ღონისძიება შესაძლოა მივიჩნიოთ ლეგიტიმურად, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასახელებული ღონისძიების გამოყენების ინტენსივობას და პერიოდულად უნდა მოხდეს მისი გადასინჯვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრის მუდმივად იზოლაციაში ყოფნამ შესაძლოა რეალურად ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს. ამასთან, ამ ჯგუფს მიკუთვნებული პირების განცალკევებით მოთავსება არ უნდა იწვევდეს უფლებებით სარგებლობის ან პროგრამებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის რაიმე სახით შეზღუდვას.

რეკომენდაციები:

- საკანონმდებლო ცვლილების გზით, უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს პატიმრის მონაწილეობა;
- საკანონმდებლო ცვლილების გზით, დისციპლინურ სამართალწარმოებაში (სახდელის განსაზღვრისა და შეფარდების ეტაპზე) უზრუნველყოფილი იყოს პატიმრის მონაწილეობა;
- შეიქმნას სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება დინამიური უსაფრთხოების პრინციპებზე;
- შეიქმნას დინამიური უსაფრთხოების მართვის მექანიზმების სახელმძღვანელო პრინციპები;
- უსაფრთხოებისა და რეჟიმის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ ტრენინგი დინამიური უსაფრთხოების მექანიზმებით მართვის თაობაზე;
- რეგულარულად ჩატარდეს ტრენინგები ტოლერანტობისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე, როგორც პატიმრებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს უსაფრთხოების ოფიცრებისა და რეჟიმის ინსპექტორების თანამშრომელების რაოდენობის გაზრდა პენიტენციურ დაწესებულებებში;
- შემუშავდეს სუბკულტურის დაძლევის სტრატეგია და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა შექმნას უმცირესობათა ჯგუფებზე მორგებული დინამიური უსაფრთხოების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა და სახელმძღვანელო პრინციპები;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს პენიტენციური დაწესებულების დინამიური უსაფრთხოების მექანიზმების გამოყენებით მართვა.

რესოციალიზაცია

სასჯელაღსრულების სისტემაში რესოციალიზაცია წარმოადგენს პატიმრის მიმართ გამოყენებული სასჯელის მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას.

პატიმრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ განათლების უფლებით, ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩაუტარდეთ ტრენინგები, შეიძინონ გარე სამყაროში ადაპტირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, დასაქმდნენ და ხშირად იქონიონ კონტაქტი ფსიქოლოგთან - ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიზნით.

პატიმრების კეთილდღეობისა და მათი განვითარების მიზნით აუცილებელია ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში იყოს ხელმისაწვდომი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამები. მიზანშეწონილია პატიმრებს გამოეყოთ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად კონკრეტული დრო, რომელიც შესაბამისობაში იქნება დაწესებულების რეჟიმის მოთხოვნებთან და არ გადაფარავს პროფესიული ან უმაღლესი განათლების მისაღებად გამოყოფილ საათებს. ასევე, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრების სამუშაო გრაფიკი უნდა იყოს მოქნილი, რათა დასაქმებულ პატიმრებს დარჩეთ საკმარისი დრო განათლებისა და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებისთვის.

რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამებში მონაწილეობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერ პატიმრისთვის გენდერული იდენტობის, ასაკის, ეროვნების, რასის და ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. სასჯელაღსრულების სისტემამ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს სპეციფიური საჭიროებები უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის და დაძლიოს ენის ბარიერის პრობლემა, რათა მათ ჰქონდეთ ღონისძიებებში ჩართვის, სემინარებში მონაწილეობის მიღების თანაბარი შესაძლებლობა.[142]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად,[143] მკაცრად არის განსაზღვრული ნებისმიერი პირისთვის განათლების მიღების უფლების ხელმისაწვდომობის საკითხი, რაც მიზნად ისახავს სრულ პიროვნულ განვითარებას.[144] მოთხოვნის შემთხვევაში, უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელ ყველა პატიმარს უნდა მიეცეს განათლების მიღების შესაძლებლობა, ხოლო ეს სისტემა პრაქტიკულად ინტეგრირებული უნდა იყოს საერთო განათლების სისტემასთან, რათა პატიმრებმა პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ იოლად შეძლონ სწავლის გაგრძელება. ეს საკითხი ასევე მოიცავს რელიგიური განათლების მიღების ხელშეწყობასა და მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის.[145]

მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებმა მიიღონ სოციალურ, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში ინდივიდუალური ან ჯგუფური მონაწილეობა. ამისათვის პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა იყოს დანერგილი დინამიური უსაფრთხოების მექანიზმები და პედაგოგების საკმარისი რაოდენობა.[146]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად,[147] პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა შეიქმნას განათლების მიღებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო. სავალდებულოა პატიმრების სისტემატიური სკრინინგი, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და ამ უფლების რეალიზაციის საკანონდებლო გარანტია, რომლის რეგულარულ მონიტორინგსაც განახორციელებს განათლების სამინიტრო.

პატიმართა დასაქმების პროგრამებიც, მათ შორის სამეურნეო სამსახური, რა თქმა უნდა, მოიცავს რესოციალიზაციის პროგრამებს. საერთაშორისო სტანდარტების[148] თანახმად, პატიმრების შრომა არ უნდა იყოს სასტიკი ბუნების და არ უნდა გაუტოლდეს მონობას. მნიშვნელოვანია, დასაქმებამდე თითოეული მათგანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოკვლევა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ, ფატალური შედეგების პრევენციის მიზნით.

ეროვნული კანონმდებლობა[149] განსაზღვრავს რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებს, თუმცა არ არის ამ მიზნების მიღწევისთვის განსაზღვრული სამოქმედო გეგმა. საქართველოს სახალხო

142 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)12, წესი 26.1.
143 International Covenant on Civil and Political Rights, მუხლი 6.
144 Basic Principles for the Treatment of Prisoners, A/RES/45/111 (1990), Principle 6; ასევე იხ, Basic Principles and Best Practices in the Americas, Principle XIII, ასევე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2, წესი. 106.
145 ნელსონ მანდელას წესები, წესი 104.
146 ნელსონ მანდელას წესები, წესი 40, 64, 78 და 102.
147 გაეროს სპეციალური ანგარიში; Report of the Special Rapporteur on the right to education, Vernor Muñoz, A/HRC/11/8 (2009), პარა. 90(a), 92, 96-97.
148 ნელსონ მანდელას წესები, წესი 96-99.
149 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 116.

დამცველი ანგარიშში[150] აღნიშნავს, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის უზრუნველყოფა. კერძოდ, გამოწვევად რჩება ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ნაკლებობა, შეთავაზებული პროგრამების სიმწირე და არამრავალფეროვნება.

ამას გარდა, პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხების მიხედვით,[151] უცხო ქვეყნის მოქალქე ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის არ არსებობს რესოციალიზაციის პროგრამები, ვინაიდან ეს ღონისძიებები წარმოებს ქართულ ენაზე. ხოლო, სასჯელაღსრულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმრებს არ მიუღიათ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა სხვა პატიმრებთან ერთად, რაც მეტყველებს მათ მიუღებლობაზე სასჯელაღსრულების სისტემის დანარჩენი მოსახლეობის მხრიდან. პოზიტიურ პრაქტიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული ენის შემსწავლელი კურსები, თუმცა მიღებული პასუხებიდან რთულია ვიმსჯელოთ, რა სიხშირით შეუძლიათ პატიმრებს ასეთი პროგრამებით სარგებლობა.

ვინაიდან პენიტენციურ დაწესებულებაში აღმოცენებულ მანკიერ სუბკულტურას საკმაოდ მყარად აქვს ფესვი მოკიდებული, სასჯელაღსრულების სისტემაში სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა და განვითარება დიდ სირთულეებს აწყდება. როგორც უკვე აღინიშნა,[152] სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პირებს სასჯელაღსრულების სისტემის სუბკულტურა ავტომატურად გამოარჩევს და მათ მარგინალიზებას ახდენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმცირესობის წარმომადგენლ ჯგუფებს არ ეძლევათ რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა, ხოლო ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში, საკმაოდ მაღალია რისკი იმისა, რომ თავდაცვის მიზნით უარი განაცხადონ ამ ღონისძიებებში ჩართულობაზე.

პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებულ ფსიქოლოგთა რაოდენობა არ არის დამაკმაყოფილებელი. შესაბამისად, შეუძლებელია ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების სრულფასოვნად, ყველა პატიმრისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის სტანდარტის დაცვით, მიწოდება. გარდა ამისა, არც ერთ დაწესებულებაში არ ჩატარებულა თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კურსები.

აღსანიშნავია, რომ ასეთი კურსები არ ჩატარებულა არც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, რის გამოც შეუძლებელია დინამიური უსაფრთხოების მექანიზმების და მოწყვლადი ჯგუფის სპეციფიური საჭიროებების განსაზღვრა და შემდგომ მათი უზრუნველყოფა.

რეკომენდაცია:

- უცხო ქვეყნის და მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები;
- რეგულარულად ჩატარდეს ქართული ენის შემსწავლელი კურსები ყველა დაწესებულებაში;
- რესოციალიზაციისათვის განკუთვნილი პროგრამები პატიმართა ყველა კატეგორიის ჩართულობით და თანაბარი ხელმისაწვდომობით ჩატარდეს;
- პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების სწავლება და გადამზადება მოხდეს თანასწორობისა და ტოლერანტობის საკითხებზე.

150 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 26.
151 05.09.2018 წლის N61800815091; 14.09. N01800847306; 13.09.2018 წლის N11800840197; 07.09.2018 წლის N51800822911; 11.09.2018 წლის N11800833933; 13.09.2018 წლის #01800844066; 10.09.2018 წლის N31800830893; 10.09.2018 წლის N81800830366; 03.09.2018 წლის N51800802715 და 10.09.2018 წლის N91800829602 წერილები.
152 იხ. წინამდებარე ანგარიშის „უსაფრთხოების“ თავი.